პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 80 (11386)
ოთხშაბათი
8
აპრილი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ამხანაგი ცოი ენ გენი საბჭოთა კავშირში

კორეელი სტუმრები ტაშკენტში



ტაშკენტი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს დილით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ცოი ენ გენმა ვიზიტი გაუკეთა უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ს. ნასრიდინოვას.

ამხანაგ ცოი ენ გენთან ერთად ჩამოვიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი ტან რიან უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ პპარი.

ვიზიტის შემდეგ კორეელი სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქის დასთვალიერებლად. ისინი ეცნობოდნენ ტაშკენტის კინოფოტოწყობის სამუშაოებს, მის ახალ პროსპექტებსა და მოედნებს, იყვნენ „პახტაკორის“ სტადიონზე, ა. ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ნაშუადღევს კორეელი სახელმწიფო მოღვაწეები ეწვივნენ ტაშკენტის საფეიქრო კომბინატს. აქ გაიმართა მიტინგი. სტუმრებს ძმური მისალმების სიტყვებით მიმართეს მუშამ რ. გულიამოვამ, ოსტატის თანაშემწემ გ. ჩემიდრონოვამ, კომბინატის დირექტორმა ზ. აბდულაევმა.

მიტინგის მონაწილეები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ცოი ენ გენის გამოსვლას.

ამხ. ცოი ენ გენმა ტაშკენტელ ფეიქრებს გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების წითელი დროშა. დროშაზე წარწერილია: „გისურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში“.

საღამოს ამხ. ცოი ენ გენი და სხვა კორეელი სახელმწიფო მოღვაწეები ა. ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ უზბეკეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეცამეტე ტომი

გამოვიდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მეცამეტე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

ტომში შედის კ. მარქსის ეკონომიური შრომა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, მეცხრეული კომუნიზმის ფუძემდებელთა სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია 1859 წლის იანვრიდან 1860 წლის მარტამდე ამერიკის პროგრესულ გაზეთ „ნიუ-იორკის ყოველდღიურ ტრიბუნაში“ და გაზეთ „ხალხში“, რომელსაც მარქსი უშვებდა ლონდონში გერმანულ ენაზე. ავტორები ფ. ენგელსის იმავე დროს ცალკე გამოცემად გამოშვებული ორი ბროშურა „პო და რაინი“ და „საოია, ნიცა და რაინი“.

ტომში გამოქვეყნებულია ენგელსის დიდძალი სამხედრო მიმოხილვები, რომლებიც ეძღვნება იტალიაში საომარ მოქმედებას.

ტომში შეტანილია მარქსისა და ენგელსის 13 სტატია, რომლებიც რუსულ ენაზე პირველად ქვეყნდება. (საკდესი).

კონკრეტულობა და მიზანსწრაფვა მუშაობაში

დიადი შვიდწლიანი გეგმა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ შეიმუშავა, საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცოცხალ, შემოქმედებით საქმედ იქცა. შვიდწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა ძალების მობილიზაციას, პარტიის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

კომუნიზმისათვის, შვიდწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლის იდეას პარტია მასებს აცნობს სავსებით გარკვეული, კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების სახით, რაზმავს და წარმართავს თვითეული კოლექტივის, ყველა მშრომელის ღონისძიებებს ამ ამოცანების გადასაწყვეტად. „ახლა განსაკუთრებით საჭიროა, — თქვა სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — კონკრეტულობა და მიზანსწრაფვა მუშაობაში, საქმის ღრმად ცოდნა. მარტო ზოგადი სიტყვები, ზოგადი მოწოდებანი არაფრად არა ღირს“.

ამ მითითებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა და კოლმეურნეობათა, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა განსაზღვრეს ძირითადი მიზნები, დასახეს კონკრეტული საბრძოლო ამოცანები. მომდინარე შვიდწლედში საქართველოს მრეწველობა პროდუქციის გამოშვებას გაზრდის თითქმის 75 პროცენტით. მძლავრი პატრიოტული აღმავლობა, რომელიც საწარმოებში დღითიდღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება, იმის უტყუარი საწინდარია, რომ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიხედვით შვიდწლედის დავალებანი ვადაზე ადრე იქნება განაღდებული.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას სულ მცირე ერთნახევარჯერ-ორჯერ. საქართველოს მეჩაიეებმა იკისრეს დიდი და საპატიო ვალდებულება — 1965 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი ნაცვლად 170 ათასი ტონისა. შვიდწლედში ხორცის წარმოება გაფიდდება 31 ცენტნერიდან 64 ცენტნერამდე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. რესპუბლიკის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მიბაძონ მოწინავეთა მაგალითს და იკისრეს ვალდებულება უკვე 1959 წელს ხორცის წარმოება გაადიდონ ერთიორად, ხოლო საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღონ სულ მცირე 1.500 კილოგრამი რძე.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა ის არის, რომ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის საბრძოლველად. სათავეში ჩაუდგნენ პრაქტიკულ მუშაობას შვიდწლედის დავალებათა ვადამდე განსახორციელებლად. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას. რაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანია ამოცანები, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ხელმძღვანელობის დონე. ამიტომ საჭიროა მონდომებით, ბეჯითად დაეუფლოთ მუშაობის ლენინურ სტილს, გამოვიმუშაოთ ისეთი თვისებები, ურომლისოდაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ნამდვილი ხელმძღვანელი. ეს თვისებებია: მიზანსწრაფვა და კონკრეტულობა მუშაობაში, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის, საკითხების კვალიფიციურად და ოპერატიულად გადაჭრის უნარი.

მიზანსწრაფვა და კონკრეტულობა მუშაობაში, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს უნარს სწორად განსაზღვროთ თვითეული კოლექტივის, თვითეული კომუნისტისა და მშრომელის ადგილი შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საერთო ბრძოლაში, მოვნახოთ მთავარი რგოლი, დავსახოთ გარკვეული მიზანი და მთელი ძალები დავიტაროთ ამ მიზნის მისაღწევად.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დასახონ კონკრეტული მიზნები და განსაზღვრონ მიჯნები, რომლებიც თვითეული საწარმოს თუ სამეცნიერო დაწესებულების კოლექტივმა, თვითეულმა რაიონმა თუ ქალაქმა შვიდწლედში უნდა გადალახოს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კონკრეტული და მიზანსწრაფული მუშაობა, რაც ხელს უწყობს მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდას, წარმოების სულ ახალი და ახალი რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას. საწარმოს კოლექტივმა ამოცანად დაისახა ექვს წელიწადში შეასრულოს შვიდწლედი და თავდადებული შრომა გააჩაღა ამ ამოცანის გასანაღდებლად. განუხრელად იზრდება სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა, წარმოების ნოვატორთა რიგები. ამჟამად ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის იბრძვის 6 ბრიგადა და 3 უბანი.

მშრომელთა შემოქმედებით აქტივობის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ახალი, შესანიშნავი წამოწყების დროზე შემჩნევას და მისთვის მხარდაჭერას. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტია პატრიოტული წამოწყების განზოგადება და ფართოდ გავრცელება, სიახლის დანერგვა წარმოებაში. აი ეს არის პარტიულ მუშაობაში კონკრეტულობისა და მიზანსწრაფვის მთავარი შინაარსი. სწორედ ასეთ მუშაობას უწევდა მასებში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი. მან აქტიურად დაუჭირა მხარი ქუთაისელი ავტომობილმშენებლების თაოსნობას — შეიქმნას შვიდწლედის ფონდები თვითეულ საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე. ამ დიადმა თაოსნობამ ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების ფართო და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. თვითეულ სამუშაო ადგილზე ეკონომიისათვის მტკიცე ყოველდღიურმა ბრძოლამ შვიდწლედის ფონდს უკვე მისცა ათეულ ათასობით მანეთი, ხელი შეუწყო იმას, რომ ქუთაისის საწარმოებმა მოლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს შვიდწლედის პირველი სამი თვის საგეგმო დავალება.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებები შთაგვაგონებენ გაბედულად, აქტიურად შევუდგეთ დიდ და რთულ საქმეს, დავისახოთ მაღალი და კეთილშობილური, მაგრამ ამავე დროს სავსებით რეალური ამოცანები, განუხრელად ვიაროთ წინ, გამოვნახოთ და ავამოქმედოთ ახალი რეზერვები. ასეთი მუშაობის მაგალითს გვიჩვენებენ გურჯაანის, მახარაძის, ახალციხის, ზუგდიდის, საგარეჯოს, ქობულეთის და მთელი რიგი სხვა სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციები.

მუშაობაში მიზანსწრაფვასა და კონკრეტულობას უზრუნველყოფენ კადრები, ადამიანები. ბევრ რაიონში პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებად და ინსტრუქტორებად, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებად მუშაობენ გამოცდილი, უნარიანი სპეციალისტები. ამის შედეგად ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული, საქმიანი და კვალიფიციური გახდა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა განამტკიცოს ჩამორჩენილი საწარმოები და კოლმეურნეობები კვალიფიციური კადრებით. საჭიროა მუშაობის ყველა უბანზე იყვნენ ენერგიული, საქმის მცოდნე, ინიციატივიანი ადამიანები. უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ახალგაზრდა კადრები, მივცეთ მათ შესაძლებლობა პრაქტიკულ საქმიანობაში გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და უნარი.

შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლა ზოგადი სიტყვებითა და მოწოდებებით როდი შეიძლება. არც ისე დიდი ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა მარნეულის, მცხეთის და სამტრედიის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებები. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმასა და საშუალებას არ წარმართავენ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად, საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩასატარებლად.

კონკრეტულობა და მიზანსწრაფვა თანაბრად საჭიროა როგორც ორგანიზატორულ, ისე იდეოლოგიურ მუშაობაში. ეს ნიშნავს, რომ კომუნისტური მშენებლობის საერთო ამოცანები გასაგები და მახლობელი გავხადოთ თვითეული მშრომელისათვის, გადავაქციოთ ისინი ცოცხალ, ხელშესახებ, კონკრეტულ საქმეებად წარმოებისა და მეცნიერების ყოველ უბანზე. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, ამ გადაწყვეტილებათა შინაარსის თვითეული მშრომელისათვის გაცნობა მოითხოვს რაც შეიძლება ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, მივაღწიოთ იმას, რომ აგიტაცია და პროპაგანდა მაღალიდეური, კონკრეტული და მიზანსწრაფული იყოს.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში კონკრეტულობისა და მიზანსწრაფვის ფართოდ დანერგვა, ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა იმის გადამწყვეტი პირობაა, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XXI ყრილობის დიადი წინასწარდასახულობანი.

პირველი ადგილზე საბჭოთა კავშირში

მრავალგზის უსახელებია თავი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლხიდმშენის კოლექტივს. გასული წლის პირველ და მეორე კვარტალში კოლხიდმშენელები ფლობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

მათ ახალ წარმოთის გამარჯვებას მიაღწიეს მეოთხე კვარტალში. საერთო სამუშაოთა კვარტალური დავალება შეასრულეს 121 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 7 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირეს 2 მილიონ მანეთამდე და სახელმწიფოს მისცეს 400 ათასი მანეთი ზეგეგმით დაგროვება. ამ შედეგებით კოლხიდმშენელებმა კვლავ დაიკავეს პირველი ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კოლხიდმშენის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე, რომელიც 4 აპრილს შედგა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ამხ. ა. ნიეარაძემ მთელ კოლექტივს მიულოცა სასახელო გამარჯვება და საზეიმო ვითარებაში გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. გაბუნია და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. გ. ბლიაძე.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ კოლხიდმშენის უფროსი ლ. კიკნაძე, მთავარი მექანიკოსი ა. ლაშხია, მერმატერე ვ. ფილიპოვი და უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. ლაკირბაია. მთელი კოლექტივის საერთო ვალდებულებაა მომდინარე წლის გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება მარშანდელთან შედარებით გაზარდოს 6 პროცენტით, ეკონომიის გზით შვიდწლედის ფონდში შეიტანოს 500 ათასი მანეთი.

კ. კობაბიძე,
„კომუნისტის“ კორ.

პირველი მაისის შესახვედრად

★ ★

ამზადებენ საწარმოო საჩუქრებს

პირველი მაისის დღესასწაულისათვის საწარმოო საჩუქრებს ამზადებს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. სამეცადინო, ცვლებში, ბრიგადებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ჩარხმშენებლებმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,7 პროცენტით გაზარდეს.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 1, № 2 მექანიკურ და № 3 ამწყობ საამქროთა კოლექტივები. კვლავ სასახელოდ შრომობს № 2 მექანიკური საამქროს ხარატთა ბრიგადა, რომელსაც წარმოების ახალგაზრდა ნოვატორი ზ. გველუკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის თვითეული წევრის ყოველდღიური საწარმოო მაჩვენებელი 300-350 პროცენტია.

ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ანაღდებენ ხარატი ი. უკოლოვი, ამწყობი ზეინკლები გ. ნოზაძე, ა. ჩაბან-ზადე, შემკეთებელი ბ. კუჩა, მომქრომავი ზ. თალაშვილი, მემრუდთარგე გ. ბერიძე, ისინი ცვლაში 3-4 ნორმას ასრულებენ.

ქარხანაში დაუღალავად ეძებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვებს. შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შედეგად განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა „163“ მოდელის უნივერსალური ჩარხის თვითღირებულება.

ქარხანაში აითვისეს და გამოუშვეს დტ-72 მოდელის ჩარხები ნავთობის მრეწველობისათვის და დტ-71 მოდელის სპეციალური სახარატო ჩარხები.

მრავალფეროვანი ქსოვილები მშრომელებს

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივმა იკისრა აპრილში გეგმის გადამეტებით გამოუშვას სულ ცოტა 10 ათასი მეტრი შალის ქსოვილი, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 350 ათასი მანეთი.

კომბინატში ყოველდღიურად ძლიერდება შრომის ტემპი, იზრდება იმ მჭსოველების და მრთველების რიცხვი, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის ნორმებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ მრთველები ა. წიკლაური, ლ. კასნოვა, შ. გუგუშვილი, ლ. ფარულავა, მჭსოველები მ. პონომარენკო, ე. ზაქაიძე, თ. ხარიტონაშვილი, მეფთილე ე. გიგაური, ნართის გადამხვეველი მ. ბერუაშვილი.

კომბინატის კოლექტივი განუწყვეტლივ ფფართოებს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტს. წელს აქ აითვისეს და გამოუშვეს მაღალხარისხოვანი საპალტოე და საკოსტუმე ქსოვილები ბავშვებისათვის, საპალტოე ქსოვილი „თბილისური“.

აჭარის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ბათუმი, 7 აპრილი. (საქდესი). გაიმართა აჭარის ასსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ნ. გ. ასათიანმა.

სესიამ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ლ. მ. დავითაძე. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან დეპუტატები ს. ფ. კოჩალიძე და ა. ი. წულაძე.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად უმაღლესმა საბჭომ აირჩია სამანდატო კომისია, ხოლო შემდეგ მოისმინა მისი მოხსენება.

დეპუტატ ვ. ს. ქემხაძის წინადადებით უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაადგინა ცნობილ იქნას ყველა 74 დეპუტატის რწმუნებანი.

შემდეგ სესიამ აირჩია 7 მუდმივი კომისია და დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი რ. მ. კომახიძე, პრეზიდიუმის მდივნად — დეპუტატი გ. გ. მაზმანიშვილი.

უმაღლესმა საბჭომ შექმნა მთავრობა — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია დეპუტატი ა. დ. თხილაიშვილი. სესიამ დამტკიცა აგრეთვე აჭარის ასსრ მინისტრები.

საბოლოო სხდომაზე გამოქვეყნდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის პოსტზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებულია ნ. გ. ასათიანი, რომელიც პენსიაზე გადავიდა.

გაზაფხულის ერთი დღე წელიწადს კვეგავს!

გვაცნობდეს: წლევანდელი გაზაფხული არ ანეგივრებს სოფლის მშრომელებს!

★ ★

გაზაფხული ფრონის ხეობაში

დიდი თოვლი იდო მდინარე ფრონის ხეობაში, თუმცა გაზაფხულის კალენდარული თვე — მარტი დამდგარიყო. მექანიზატორი ვალერიან ცქიფური ნერვიულობდა. გაგრძელებულმა ზამთარმა საგაზაფხულო სამუშაოები არ დაგვიგვიანოსო, და ზეთში დასვრილ ჩვარს ხელში ატარებდა. საგულდაგულოდ ამოწმებდა საკოლმეურნეო ტექნიკის მზადყოფნას, მანქანებში იარაღ უწესივრობის აღმოჩენის გამოსწორებაში ტრაქტორისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა.

* * *

ახლა ფრონის ხეობაში გაზაფხულია. ველ-მინდვრები მწვანით შეიმოსა. სოფელ დირბის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა. ყოველდღიურად მინდვრად სამასამდე კოლმეურნე გადის. მათ შრომას უმსუბუქებენ ტრაქტორები. ვალერიან ცქიფურის სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორების გუგუნის ხმა შორს ჩასდევს ხეობას.

„გადადმებში“, როგორც მას დირბელები ეძახიან, ცქიფურს შევხვდით. შაქრის ჭარხლის თესავდა ტრაქტორისტი იასონ ცინგირაშვილი „ედ-35“ მარკის ტრაქტორზე მიბმული სათესით.

— იასონ! თესვის სიღრმესა და მწკრივების სისწორეს მიაქციე უურადღება. ეს შემდეგ კულტივაციას გაგვიადვილებს, — არიგებდა ტრაქტორისტს. შემდეგ კი ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— გამოცდილია, თავს არ შეირცხვენს.

ახეც არის! იასონ ცინგირაშვილი თესვის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ანაღდებს. მას არც სულიკო ბერიძე ჩამორჩება. ქებით იხსენიებენ კოლმეურნეობაში, აგრეთვე ტრაქტორისტებს ალექსი ხათაშვილსა და არჩილ მურაჩაშვილს. ისინი „დტ-54“ მარკის მძლავრ ტრაქტორებზე მუშაობენ და ხვნის გეგმებს ყოველთვის გადამეტებით ახრულებენ. ამ ადამიანების ენერგიული შრომის შედეგია ის, რომ კოლმეურნეობაში მოკლე ვადაში დამთავრდა 70 ჰექტარზე შაქრის ჭარხლის თესვა, რიგოთშორის მოხნეს 74 ჰექტარი ბაღი, 10 ჰექტარი ვენახი, დაითესა 65 ჰექტარი ქერი, 42 ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი. ახლა დაჩქარებით მიმდინარეობს სიმინდის დასათესად ნიადაგის მომზადება, ახალი ბაღის გაშენება.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები ყოველდღიურად ძლიერდება. ასეა არა მარტო დირბის, არამედ ქარელის რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

სოფელ ფცის კოლმეურნეობამ ორ დღეში 30 ჰექტარი შაქრის ჭარხალი დათესა. ამ ბრიგადამ, რომელსაც ლევან ოსაძე ხელმძღვანელობს, ერთ დღეში დაამთავრა შაქრის ჭარხლის თესვა 11 ჰექტარზე. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ტრაქტორისტები ლონგინოზ და ვარლამ ოსაძეები.

დაწინაურდნენ აგრეთვე აბისელი კოლმეურნეები. მათ დაამთავრეს შაქრის ჭარხლის, ბოსტნეული კულტურების თესვა, ახალი ვენახის გაშენება.

რესპუბლიკის სხვა მექანიზატორებთან ერთად ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი სიხაშვილი იყო ნოვოუკრაინკაში XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის ა. გიტალოვის გამოცდილების ადგილზე შესასწავლად. მან ბევრი რამ საინტერესო გვიამბო იქ ნახულსა და შესწავლილზე. კოლმეურნეობაში იყენებენ გიტალოველთა მეთოდს. შექმნილია ერთი მექანიზებული აგრეგატი. წელს დაამუშავებენ 52 და 54 ჰექტარიან მიწის ნაკვეთებს.

— ეს ნაკვეთები — ამბობს გ. სიხაშვილი, — მზრალად მოხნული გვაქვს, მაგრამ შემოდგომით არ ჩაგვიტარებია ის სამუშაოები, რომლებიც ა. გიტალოვმა შესასრულა. ამიტომ პირველ წელს შესაძლებელია ვერ მივიღოთ სიმინდის ისეთი მაღალი მოსავალი, როგორსაც ნოვოუკრაინკელი ამხანაგები იღებენ. მაგრამ სიმინდის მოსავლიანობის გეგმას ჰექტარზე 8-10 ცენტნერით მაინც გადავამეტებთ.

კოლმეურნეობაში გაჩაღებულია შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეული კულტურების თესვა, სწრაფად მიმდინარეობს ბაღ-ვენახების დამუშავება.

მაგრამ გული გეტკინება, რომ მოწინავეთა შორის ნახავ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს. მაგალითად, რატომ უნდა ჩამორჩეს საგაზაფხულო სამუშაოებში მეზობლებს სოფელ ბრეძის კოლმეურნეობა? სამწუხაროა, რომ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფ. ყიფშიძეს ჯერ კიდევ ვერ გარდაუქმნია მუშაობა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. შუბითაძე (მარცხნივ) და აგრონომი შ. კუხიანიძე ამოწმებენ სათესლე მასალას.

ფოტო შ. კუკულავისა.

არა, ეს უპასუხისმგებლობაზე მეტია

— აი საოცრება! თესვა დაიწყო, ჩემთან კი ახალი ტექნიკა უქმად დგას, — გულისტკივილით აცხადებს სტალინირის სარემონტო-ტექნიკური სადგურის მომარაგების ბაზის გამგე ე. ძაგოევი.

საწყობში შევედით. „დტ-20“ მარკის ახალი ტრაქტორები რიგზე დგანან ღია ცისქვეშ მოუვლელად. ჩამწკრივებულან აგრეთვე „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორები. 26 ახალი ტრაქტორი დავითვალეთ. საწყობის გამგემ უკმაყოფილება შეგვამჩნია და ხელი ჩაიქნია.

— ასეა, არავინ არა ზრუნავს ტრაქტორების გატანაზე, — აცხადებს იგი.

— ვის ეკუთვნის ტრაქტორები?

— წინასწარი დაკვეთით ჩამოგვატანინეს. ზნაურის რაიონის სოფლების ძველეთის, ქვათეთრის, სტალინირის რაიონის სოფლების ქემერტის, ხეთაგუროვის, ჯავის რაიონის სოფელ ბუზალის კოლმეურნეობებს უნდა წაეღოთ, მაგრამ დღეები გადის და ტექნიკა ისევ საწყობშია. ამის შესახებ იციან სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოში, იციან რაიონებში, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

ტრაქტორების გარდა აქ მისაბმელი ინვენტარიც ბევრია, რომელიც თესვის ამ ცხარე დღეებში მინდორში უნდა იყოს.

ახლა ნახეთ მინერალური სასუქების საწყობი! აქ ასობით ტონა სუპერფოსფატია, სხვა სახის სასუქებიც არის. ეზოში გორები დგას და ეს იმ დროს, როცა მინდორში თესვა გაჩაღდა და სასუქები ყოველ ნაკვეთშია საჭირო.

სტალინირის რაიონის სოფლების რუსთავის, ხელჩუის, სარაბუკის, ქერესა და დამპალეთის კოლმეურნეობებს წელს სულ არ გაუტანიათ მინერალური სასუქი. საინტერესოა, როგორ აწარმოებენ თესვას უსასუქოდ. შემოდგომის ნათესებს ხომ გამოკვება ესაჭიროებათ? ალბათ ისევე უდარდელად ჩატარებენ საგაზაფხულო სამუშაოებს ამ კოლმეურნეობებში, როგორც გასულ წელს, როცა მოსავლიანობის გადიდებისათვის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები თავს არ იწუხებდნენ. ისეთ დიდ კოლმეურნეობასაც კი, როგორიც ხეთაგუროვის კოლმეურნეობაა, მინერალური სასუქი სანახევროდ არ გაუტანია.

ამ მხრივ თითქმის ანალოგიურ სურათს ვხედავთ ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში.

საინტერესოა, რას ფიქრობენ სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ს. დარსაველიძე, სტალინირისა და ზნაურის რაიონების სოფლის მეურნეობის ინსპექციათა უფროსები ა. მკრტჩიანი და ი. რაზმაძე?

რატომ ხდება ყოველივე ეს? რით არის გამოწვეული? ეს მარტო უპასუხისმგებლობის ბრალია?! არა, ეს უპასუხისმგებლობაზე მეტია...

ი. თეოდიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გუშინ საკოლმეურნეო მინდვრებზე

გალი

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 4 აპრილისათვის დამთავრდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, 3.460 ჰექტარიდან გასხლულია 2.800 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, საგაზაფხულო კულტურების დასათესად მოხნულია 3.490 ჰექტარი. წელს უნდა გაშენდეს 35 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. გაშენებულია 5 ჰექტარი, ათვისებულია 600 ჰექტარამდე ყამირი და ნასვენი მიწა. სიმინდის თესვას პირველნი შეუდგნენ ოქუმის და ჭუბურხინჯის კოლმეურნეობები.

ჩოხატაური

რაიონში 1.797 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან გადაბარულია 1.701 ჰექტარი. აზოტოვანი სასუქი შეტანილია 260 ჰექტარზე, გასხლულია 777 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. სიმინდის თესვა დაიწყეს ხიდისთავისა და ქვეშნობის კოლმეურნეობებმა.

ცხაკაია

ამ დღეებში ცხაკაიის რაიონის კოლმეურნეობებში დაძაბულად შრომობენ. სიმინდის დასათესად მოხნულია 3.185 ჰექტარი, მეჩაიეებმა უკ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ — ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ რაიონული პარტიული ორგანიზაცია აჩაღებს ბრძოლას იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს შვიდწლედის დავალები. ამ მიზნით ხორციელდება ღონისძიებანი მასებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; იმისათვის, რომ თვითეული კოლმეურნეობა და მეცხოველეობის ფერმა, ბრიგადა და რგოლი წარმატებით ასრულებდეს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

კოლმეურნეები და მექანიზატორები, რომლებიც დიდი ინტერესით სწავლობენ და განიხილავენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს.

შვიდწლიანი გეგმის განხილვისას სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ცისკარიშვილმა განაცხადა:

— ვიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და დავიწყოთ, რომ შვიდწლედის დავალებათა შესრულება ორი წლით ადრე შეგვიძლია.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, თავდადებით შრომობენ მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, ბენახებსა და ხეხილის ბაღებში. ახლა ისინი უფრო კრიტიკულად აფასებენ მარშანდელ მაჩვენებლებს და დაუცხრომლად ეძებენ ახალ წარმატებათა მოპოვების გზებსა და საშუალებებს. კოლმეურნეთა ეს პატრიოტული მისწრაფება — ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩვენი მეცხოველეების მაგალითზე.

მარშან ყვარლელმა მეცხოველეებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.062 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 960 კილოგრამისა. გასულ წელსვე სახელმწიფოს მიჰყიდეს 1953 წელთან შედარებით ორჯერ მეტი რძე და 1.5-ჯერ მეტი ხორცი. მაგრამ პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გაცნობის შემდეგ მეცხოველეები დარწმუნდნენ, რომ 1958 წელს მიღწეული მაჩვენებლები მცირეა, და იკისრეს ვალდებულებანი ხორცისა და რძის წარმოების შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად. ამ ვალდებულებებით გათვალისწინებულია, რომ შვიდწლედის პირველ წელს — 1959 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულ იქნას 1.400 კილოგრამი რძე.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის მისაღწევად მნიშვნელოვნად განმტკიცდება საკვები ბაზა და აიგება ახალი ბინები პირუტყვისათვის. ყვარელი კოლმეურნეები კისრულობენ წელს დაამზადონ 260.000 ცენტნერი უხეში საკვები, მათ შორის 80.000 ცენტნერი თივა. ამასთან ერთად ჩაიდება 40.000 ტონა სილოსი ნაცვლად 1958 წლის 29.000 ტონისა. კოლმეურნეობებში აშენდება ახალი სადგომები 500-ზე მეტი სული პირუტყვისათვის. ყველა ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება ხორცისა და რძის წარმოების გადიდების საწინდარი იქნება.

შვიდწლედში დიდი სამუშაოები განხორციელდება რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობის მკვეთრი განვითარებისათვის. უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ იზრდება ვენახების ფართობები. მარტო გასული წლის შემოდგომაზე გაშენებულია 257 ჰექტარი ვენახი. მაგრამ ის, რაც ამ დარგში უახლოეს შვიდ წელიწადში გაკეთდება, დიდად გადააჭარბებს ამჟამად არსებულს. 1965 წლისათვის საკოლმეურნეო ვენახების ფართობი სამჯერ გაიზრდება. შვიდწლედის ბოლოს ყვარლის რაიონი სახელმწიფოს მიჰყიდის 17.000 ტონამდე ყურძენს.

ვენახების ფართობის გადიდებისა და ყურძნის მოსავლიანობის ამაღლების მიზნით წელს კოლმეურნეობებში გაშენდება 400 ჰექტარი ვენახები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 213 ჰექტარისა. სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე მოყვანილი იქნება სულ ცოტა 73 ცენტნერი ყურძენი. წელს ყვარელი მევენახეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 11.000 ტონა ყურძენს ნაცვლად შარშანდელი 9.399 ტონისა.

შვიდწლედის დავალებათა შესასრულებლად ნაკისრი ეს ვალდებულებანი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ კომუნისტებს, რაიონის მშრომელებს, რომლებმაც თავიდანვე ფართო სამუშაოები გააჩაღეს ვენახებში. ახლა საკოლმეურნეო ზვრები მოხნულია, გაზები ძირებშემობარულია. ვენახებში შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები. მიმდინარეობს ვაზის სხვლა. საჭირო რაოდენობით მომარაგებულია სარი და მავთული. ბევრმა მოწინავე მევენახემ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უსვი მოსავლის მისაღებად. ამ შესანიშნავი შეჯიბრების ინიციატორია სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობის ნოვატორი მევენახე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აბესალომ ხუციშვილი.

— ჩემი და ჩვენი რგოლის მევენახეთა ზრუნვა იქითკენ არის მიმართული, — ამბობს ა. ხუციშვილი, — რომ უახლოეს ორ წელიწადში ვაზმა იმდენი ყურძენი მოგვცეს, რამდენიც შვიდწლედის ბოლოსათვის — 1965 წლისათვის არის გათვალისწინებული. ეს ნიშნავს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნას 250 ცენტნერი ყურძენი, და ისიც არა 1965 წელს, არამედ 1961 წელს!

ეს არა მარტო მოწინავე მევენახის ა. ხუციშვილის ფიქრი და მისწრაფება! ასე ფიქრობენ და ამასვე ესწრაფვიან ჩვენი სახელოვანი მევენახეები — გავაზელი ა. მებაღიშვილი, ახალსოფლელები გ. სამყურაშვილი და გ. ნადირაძე, ბალღოჯიანელი ვ. ყველაშვილი, შილდელი ი. უსტიაშვილი და ბევრი სხვა.

პარტიის XXI ყრილობის დიადი იდეები მასების დიდ ენერგიას ბადებენ. კოლმეურნეებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოთა ფრონტი. კოლმეურნეობებში უკვე მთავრდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურების — მზესუმზირას და შვრიის თესვა. ყვარელელი კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ წელს 13.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16 ცენტნერი მარცვლეული მოიყვანონ.

პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის. ამავე საკითხზე იმსჯელა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულმა თათბირმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა. თათბირის ყველა მონაწილემ გამოთქვა ერთსულოვანი მზადყოფნა — მთელი ძალები მოაპმაროს შვიდწლედის ხუთ წელიწადში, პირველ რიგში 1959 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ამ მხრივ ბევრი მოეთხოვებათ პარტიის რაიკომს და საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი მოწოდებული არიან შემდგომ აამაღლონ ორგანიზატორული მუშაობის დონე, უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს, შეისწავლონ და ფართოდ გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო გულდასმით და გაბედულად არჩევენ კადრებს, ეხმარებიან და ზრდიან მათ.

ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის ბრძოლაში, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებით დიდია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის როლი. 200-ზე მეტი აგიტატორი და 120-მდე ლექტორ-მომხსენებელი და პროპაგანდისტი ამჟამად კოლმეურნეებს გულში ჩამწვდომად, ცოცხლად და საინტერესოდ მოუთხრობს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებზე, განუმარტავს შვიდწლიანი გეგმის ამოცანებს.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ პოლიტიკური განათლების ქსელში პარტიის XXI ყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის კოლმეურნეობათა წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის. პარტიის ყრილობის დიადი იდეები აწალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებენ მშრომელებს, ხელს უწყობენ სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო მძლავრად აზიერთებას. დღითიდღე ფართოვდება საგაზაფხულო სამუშაოთა ფრონტი, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაქანებას იღებს ბრძოლა შვიდწლედის პირველ წელს — 1959 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ყვარლის რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

Ა. ᲐᲒᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

ორი წლის წინათ დაამთავრა ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა ლამარა ამდელაძემ. შრომისმოყვარე გოგონამ გადაწყვიტა მუშაობა დაეწყო ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკაში. ახლა ლამარა საწარმოს მოწინავე წევრდებელია და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲐᲥᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (სკკ. კორ.). „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“ — ამ თემას მიეძღვნა შეხვედრა, რომელიც შეტალურგთა კლუბში მეოთხე საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულმა მოუწყო წარჩინებულ მეტალურგს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს მელქაძეს.

პიონერებმა შეხვედრაზე წარმოადგინეს მხატვრული მონტაჟი — „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“. ბავშვმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა გმირ მეტალურგს. ქართველმა და რუსმა მოსწავლეებმა კარგად შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. სახელგანქმული მეტალურგი ბ. მელქაძე საპატიო პიონერად აირჩიეს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი ბ. მელქაძე: მან მოსწავლეებს მოუთხრო თავის შრომის საქმიანობაზე, იმაზე, თუ რა შეუძლია კეთილსინდისიერ შრომას, რა დიდების შარავანდედით არის მოსილი შრომა ჩვენს ქვეყანაში. მან მოუწოდა ახალგაზრდებს ისწავლონ წარჩინებით, უყვარდეთ შრომა, რომელიც მართლაც ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს.

ᲠᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲣᲚᲘ, ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ

მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი ღვინოების დაყენება შეიძლებოდეს ისე, როგორც საქართველოში.

ქართველი ერის ისტორიული წარსული, მისი ყოფაცხოვრება, კულტურა, ზნე-ჩვეულებანი და ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მევენახეობა-მეღვინეობასთან. ფართოდ გადაშლილი ვენახების მახვილები, სამშობლო ტექნიკით აღჭურვილი კეთილმოწყობილი ღვინის ქარხნები და სარდაფები დიდი პატრიოტული სიამაყის გრძნობებს იწვევს ჩვენში.

საქართველოში შვიდწლიანი გეგმით მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში დიდი პერსპექტივებია დასახული. ვენახის ფართობი გაიზრდება 1,9-ჯერ, ყურძნის მოსავლიანობა — 2,2-ჯერ და ღვინის წარმოება — 2,5-ჯერ.

ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი, მისი პატრიოტული დარაზმულობა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური მზრუნველობა და დახმარება უდავოდ განაპირობებს ამ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

საქართველოს მევენახეობას წმინდა მეღვინეობის მიმართულება აქვს. ღვინო ამ დარგის პროდუქციაა. ამიტომ ყოველი გატარებული ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს მისი ხარისხის დაცვისა და შემდგომი ამაღლების ამოცანას.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ყოველთვის არ არის აყვანილი პრინციპულ სიმაღლეზე. როგორც ვიცით, ღვინის ხარისხისა და მეღვინეობის მიმართულების საფუძველი ვენახშივე წყდება. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ყურძნის მაღალი მოსავლიანობის გამოდევნება ისე, რომ უგულებელყოფილ იქნას ღვინის ხარისხი, დიდად საზიანოა, ამ გზით დავკარგავთ ჩვენი ერის ისტორიულ და თანამედროვე სიამაყეს.

ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ღვინოებმა მრავალ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ დეგუსტაციაზე ჩვეული საპატიო ადგილი ვერ დაიკავა. განსაკუთრებით ვერ ისახელა თავი სუფრის თეთრმა და წითელმა ღვინოებმა, რომლითაც წინათ მრავალჯერ უამაყია ჩვენს დიდა სამშობლოს.

ჩვენი რესპუბლიკის სამარკო და ორდინარულ ღვინოებს ფრაზად განვითარებული გემოვნების მომხმარებლები ჰყავს. ხვანჭკარას, წინანდალს, ნაფარეულს, გურჯაანს, მუკუზანს და სხვა ღვინოებს საბჭოთა კავშირში იცნობენ. ამიტომ სავსებით მართალია პროფესორი ვ. ბერიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ „ჩვენ მომხმარებელს ვაწვდით მეტად არა მსგავს სხვადასხვა შინაარსის ღვინოებს“ და დასძენს, „ეს გარემოება იწვევს ფართო მომხმარებლის დეზორიენტირებასო“.

ყოველი გამოშვებული ღვინის პარტია, ორდინარული იქნება ის თუ სამარკო, უნდა იყოს დაახლოებით ერთგვაროვანი. ამისათვის კი საჭიროა კარგი ნიმუშების შენახვა, მათი ეტალონებად გამოყენება და კუპაჟების მასთან მიახლოება. ამიტომ გამოშვებულ უნდა იქნას ისეთი სამარკო და ორდინარული ღვინოები, რომ აკმაყოფილებდეს ფართო მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

დასმული ამოცანების მიღწევისათვის საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ყურძენი თავიდანვე დაჯგუფდეს და გადამუშავდეს ზონების, მიკროზონებისა და ზოგჯერ ცალკეული მიკროუბნების და ადგილების მიხედვით, რათა ნედლეულმა ბუნკერამდე მიიღოს მიმართულება, ამ ამოცანის შესრულებისათვის უნდა გამოვიყენოთ მეცნიერული კვლევის ფართო მონაცემები, საკუთარი პრაქტიკული დაკვირვება და მდიდარი ისტორიული წარსული.

უნდა მოგახდინოთ ღვინის წარმოების სპეციალიზაცია, ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ ტექნიკა და მეცნიერული მიღწევები. გაუმართლებლად მიგვაჩნია ის მაგალითი, რომ შემაგრებული-სადესერტო ღვინოები მზადდებოდეს ნაფარეულში, წინანდალში, მუკუზანში, ასევე მარტო კახური ღვინოები მზადდებოდეს ტიბაანში, წნორში და სხვ.

ლიკვიდირებულ უნდა იქნას მეღვინე ტექნოლოგთა ხშირი ცვალებადობა. პასუხისმგებელი ტექნოლოგი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანილ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოამზადებს თავის შემცვლელს. ასევე ახლად კურსდამთავრებული მეღვინე-ტექნოლოგები გაგზავნილ არ უნდა იქნან დამოუკიდებელ სამუშაოზე მანამ, სანამ არ გაივლიან 3-5-წლიან წრთობას წინანდლის, კარდანახის, ვარციხის, გურჯაანის და სხვა წარმოებებში.

გადასინჯულ უნდა იქნას დებულება ქართული ღვინების კონდიციებისა და ტექნოლოგიის შესახებ სპეციალისტთა ფართო მონაწილეობით.

პროფესორი გ. ბერიძე მართებულად აყენებს ღვინის დაძველების ხანგრძლივობის საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის ამოცანას. ამაში არ შეიძლება ვეყრდნობოდეთ ეგრეთწოდებულ სტანდარტებს და ვიჩენდეთ კონსერვატიზმს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა წლის მოსავლის ევროპული ტიპის ღვინოების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამწლიანი დაძველება. ასევე შეიძლება ითქვას ცალკეული ადგილისა და ვაზის ჯიშის ღვინოების მიმართაც.

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ენიწლისა და ნაფარეულის ღვინოები უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე გურჯაანისა და, თუ გნებავთ, წინანდლის ასეთივე ღვინოები. ასევე პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ 1945 და 1946 წლების მოსავლის ევროპული ტიპის ღვინოები მწიფდება ორ წელიწადში, მაგრამ 1944 და 1947 წლების მოსავლის ამავე ტიპის ღვინოებისათვის საჭირო ხდება სამწლიანი დაძველება.

ბუნებრივ მოვლენებთან ერთად ჩვენს ხელთ არის ღვინის ბიოქიმიისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მეცნიერული მეთოდები და თეორიული საფუძვლები. ყოველივე ამით ჩვენ შეგვიძლია ღვინის დამწიფების დაჩქარება ხარისხის ამაღლებასთან ერთად. ამით კი შეგვიძლია დანახარჯებსა და დანაკარგებს, გაუზრდით შრომის ნაყოფიერებას. სამარკო ღვინოების ჩამოსხმა უნდა ხდებოდეს დაძველების ადგილზე, რითაც აღმოფხვრით გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას, თავიდან ავიცილებთ შეფუთვის ხარჯებს, დანაკარგებს და შევინარჩუნებთ ძვირფას ტარას შემდგომი წლების ღვინოების გამოსაყენებლად.

შეუსაბამოდ მიგვაჩნია ყურძნის პირველადი გადამუშავება ვაზარმოოთ იქ, სადაც ხდება ღვინის დამწიფება-დაძველება და ჩამოსხმა. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ რაგინდ გულისყურიანი ტექნოლოგიც უნდა მუშაობდეს წარმოებაში, რომელის პერიოდში მაინც სუსტდება ყურადღება საძველებელი ღვინოებისადმი. მეღვინეობის პირველად საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ღვინო-მასალების ბუნების შესწავლას, მათს მიზანშეწონილ დაჯგუფებას და ტექნოლოგიური დამუშავებისას მიგვიღეთ დიფერენციერებულად.

პირველად ტექნოლოგიურ მანიპულაციათა მიზანშეწონილი გატარება ერთ-ერთი ფაქტორია ღვინის ხარისხიანობის საქმეში. სწორედ პირველად ტექნოლოგიაში დაშვებულ შეცდომებს უნდა მიეწეროს ისეთი მოვლენა, როდესაც „წინანდალი № 1“ ჩამოსხმის შემდეგ აიმღვრა და მიზეზების რკვევისას მასში აღმოჩნდა სპეციფიური გაჟტივებული ორგანიზმები.

ისტორიულად ცნობილი ადგილებიდან, ან ახლად გამოვლინებული მიკროუბნებიდან გულდასმით უნდა შევარჩიოთ და დავკრიფოთ ყურძენი, გადავამუშაოთ ტექნოლოგიური მანიპულაციათა ზუსტად დაცვით და შევქმნათ უნიკალური ღვინოების ნიმუშები. ამით არა მარტო ვისახელებთ თავს მრავალ საერთაშორისო დეგუსტაციაზე, არამედ მათ გამოვიყენებთ ქართული ღვინოების ხარისხის ამაღლებისათვის.

ორდინარული ღვინოებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალიზებული ქარხნები, რომლებიც აღიჭურვება საჭირო მანქანა-დანადგარებით და დიდი ტევადობის საკუპაჟე ბუტეების კომპლექსით (5.000 ჰექტოლიტრი). ასეთ წარმოებაში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა, ღვინის დამუშავებისა და გამოშვების დახურულ-ნაკადური მეთოდის დანერგვა, ავტომატიზაციის განხორციელება და, რაც მთავარია, ღვინის ერთგვაროვნობის დაცვა და მისი ხარისხის შემდგომი ამაღლება.

ამა თუ იმ წლის მოსავლის, ვაზის ჯიშის თუ კუპაჟის სამარკო და ორდინარული ღვინის საუკეთესო ეგზემპლარები უნდა ჩამოისხას განსაზღვრული ოდენობით და შენახულ იქნას ადგილებზე. ამ ნიმუშებზე დაკვირვება მოგვცემს მეცნიერულ გაგებას და სათანადო საფუძვლებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე დაგვეხმარება კადრების აღზრდის საქმეში.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მრავალი გამოჩენილი მუშაკია, საკმაოდ ძლიერია ამ დარგის ხამეცნიერო ძალები. პროფესორ გ. ბერიძის მიერ ამოცანის პრინციპულ სიმაღლეზე დაყენება და „კომუნისტის“ რედაქციის მოწოდება ფრაზად სასარგებლო მოვლენაა ამ დარგის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჯეროვან სიმაღლეზე აყვანის საქმეში. ჩვენ ვაყენებთ ზემოთ ჩამოთვლილ წინადადებებს და ვფიქრობთ, რომ ამით უფრო ჰარმონიულს, არომატულს გავხდით ქართულ ღვინოებს.

ნ. ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მეგადეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის დირექტორი.

დ. ᲜᲐᲪᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ტექნოლოგიის განყოფილების გამგე.

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პასუხად ამბროლაურელმა მევენახეებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა შვიდწლედის პირველ წელს ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 50 ცენტნერი ყურძენი.

ზვრებში ფართო ფრონტით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. რაიონში ვაზის გასხვლა-ფორმირება უკვე ჩატარებულია 636 ჰექტარზე, რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება 160 ჰექტარზე, ვენახებში შეტანილია 8.000 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი და სხვ.

საგაზაფხულო სამუშაოები განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს წესის, მუხლის, ნიდიკარის, ძირგაკეთილის, სადმელის, ბოსტანის, საკეციის, ხვანჭკარისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

გაზაფხული თანდათან შედის ძალაში, სულ უფრო ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება.

ამბროლაურელი მევენახეები მუყაითად და ენერგიულად შრომობენ, რომ სამშობლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი ბუნებრივი ნახევრადტკბილი ღვინოების დასამზადებელი მასალა.

ნ. ᲨᲐᲠᲐᲒᲘᲫᲔ,

ᲐᲦᲓᲒᲘᲡᲔᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲕᲘᲖᲜᲐᲖᲔ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მანქანათსამშენებლო მრეწველობა არ ყოფილა, ხოლო ლითონდამუშავების საქმე კონცენტრირებული იყო რამდენიმე სარემონტო სახელოსნოში, მათ შორის ყველაზე დიდი რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნო იყო.

ახლა ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს მანქანათსამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთ მძლავრ კერას, რომელიც სამშობლოს აძლევს ლითონსაჭრელ ჩარხებს, ჩაისა და საკონსერვო მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარებს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, თეჯის ფასონურ სხმულს, მევენახეობა-მეღვინეობაში საჭირო მანქანებსა და მექანიზმებს.

დიდი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო მრეწველობას შეემატა 16 ახალი საწარმო, რითაც მანქანათსამშენებლო მრეწველობის პროდუქციის ნომენკლატურა დიდად გაფართოვდა. ჩვენი რესპუბლიკა უკვე დიდი ხანია აძლევს სამშობლოს სატვირთო ავტომანქანებს, საშახტო აღჭურვილობა-ტურულ ელექტრომავლებს, არტეზიული ჭის ტუმბოებს, საშახტო ვაგონეტებს, მიწისმოვა დანადგარებს და ა. შ.

ომისშემდგომი პერიოდი საქართველოს მანქანათსამშენებლო მრეწველობაში აღინიშნა მკვეთრი აღმავლობით, რამდენიმე ახალი დარგის შემომატებით, კერძოდ, ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური დარგების შექმნით. თვისებულ იქნა ე. წ. მაგნიტური გამშვებების, ელექტროტექნიკური ნაწარმისათვის პლასტმასის სხვადასხვა დეტალების წარმოება.

თუ დიდ სამამულო ომამდე მანქანათსამშენებლო მრეწველობა თავმოყრილი იყო მხოლოდ თბილისში, ომის შემდეგ მანქანათსამშენებლო საწარმოები ამენდა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და ა. შ.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნის შემდეგ, როგორც კი ჩამოყალიბდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, აღებულ იქნა საქართველოში მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის შემდგომი გაფართოების კურსი. არსებულ სარემონტო საწარმოთა ბაზაზე შეიქმნა 7 ახალი ქარხანა, გადადგმულ იქნა კიდევ ერთი ნაბიჯი ახალი ტექნიკის ათვისების გზაზე.

ვინ არ იცის ახლა, რომ საბჭოთა კავშირის რკინიგზის ქსელის მაგისტრალებზე გამოჩნდნენ ქართული მარკის მძლავრი რვადერძიანი სამგზავრო ელექტრომავლები, ზღვისა და მდინარეებზე გამოჩნდნენ მსუბუქი საზღვაო და სამდინარო ხომალდები, ბადებსა, ყანებსა და პლანტაციებში — თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები სამთო მიწათმოქმედებაში საჭიროა ხსენდასვა ნაშიშლეების საკიდი აპარატებით, სამშენებლო მოედნებზე — საქართველოში დამზადებული კოშკური ამწეები, ხოლო ლითონდასამუშავებელ საწარმოებში — მაღალი სიზუსტით მომუშავე სახეხი ჩარხები.

საქართველოს მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ ახალი შვიდწლედის დასაწყისისათვის, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი ეპოქის დამდეგისათვის მიაღწია განვითარების ახალ მიჯნას, ინდუსტრიული მომზადების ისეთ დონეს, როცა უკვე შესწევს უნარი აქტიური მონაწილეობა მიიღოს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჩვენი იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში, რომ მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე.

ახალი შვიდწლედის დაწყება საქართველოში აღინიშნა 16 ახალი საწარმოს, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით გამართული ქარხნების მოწყობით. ეს ქარხნები თავიანთ პროდუქციას მიმდინარე წლის განმავლობაში მოგვცემენ. ზოგი ახალი საწარმო უკვე ამუშავდა, უშვებს ან უახლოეს დროში შეუდგება აქედანვე შევუდგეთ საათანადო ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებას. წელს აუცილებლად უნდა დამთავრდეს საკარიერო მეურნეობის მთელი კომპლექსის რეკონსტრუქცია. საკარიერო მეურნეობამ მთლიანად უნდა დაკმაყოფილოს შახტის მოთხოვნილება სავსეს მასალაზე.

პარტიის XXI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სამეშაო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ეს საქმე ლენინის სახელობის შახტში, ისევე როგორც ტყიბულის დანარჩენ შახტებში, ძალიან მოკოჭლებს. ყველაზე ვიწრო ადგილს მცირე დაქანების ლავებში ქვანახშირის ტრანსპორტირების მექანიზაციის მოუგვარებლობა წარმოადგენს.

წელს დიდი მუშაობა იქნება გაწეული სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტის გასაფართოებლად. უკვე დაწყებულია შახტში ახალი სამთო ველების მომზადება. მაისში საკეპლოატაციოდ გადაეცემა ოცდამეშვიდე და ოცდამეცხრე ველი. წლის ბოლოსათვის მეორე ღრმა ჰორიზონტზე მოამზადებენ მეხუთე და მეშვიდე ველს. ახალი ველების საექსპლოატაციოდ გადაცემა გაადიდებს ქვანახშირის ამოღებას, გაზრდის მუშახტეთა შრომის ნაყოფიერებას.

წარმატებათა გზაზე საჭიროა აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება. მაგალითად, დღემდე მოგვარებული არ არის სანგრევების ხის სამაგრი მასალით მომარაგების საქმე. მიუხედავად საკითხის არაერთხელ დაყენებისა, სანგრევებში მოაქვთ არასტანდარტული სამაგრი მასალა. ხშირად ვერ გვამარაგებენ სავენტილაციო მილებით, მსხვილი კვეთის კაბელებით, ლითონის მილებით, საშახტო რკინიგზის მოწყობილობით. ერთი სიტყვით, სა

წალკოტად ვაქციოთ ჩვენი ქალაქები და სოფლები

★ ★

ჭიათურა მწვანით იმოსება

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა მარგანეცის ქალაქის გამწვანება-გამშვენიერებისათვის. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე — ლენინისა და ნინოშვილის ქუჩებზე გაშენდა ჭადრების ხეივანი, რაც ქალაქის მშვენებას წარმოადგენს. ათი ათას ძირამდე მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარე დაირგო ახლად გაშენებულ ნაგებუთსა და ფხალაძეების უბნის საბრეთით, საუცხოო ბალი მოეწყო ლენინის სახელობის მაღაროს ტერიტორიაზე.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია. ამიტომ ჭიათურელმა მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წითელწყაროელთა თაოსნობას და ფოთელების გამოწვევას — გავაშენოთ და დავიცვათ ტყე, ჩვენი ბუნების სიმდიდრე. წალკოტად ვაქციოთ ჩვენი მიწაწყალი, მწვანე სამოსელში გავხვიოთ ქალაქები და სოფლები.

მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა იკისრეს 1960 წლის გაზაფხულისათვის დაამთავრონ ტყე-პარკის გაშენება პიონერთა სასახლის ტერიტორიაზე. აქ ოთხ ჰექტარზე გაშენდება 15.000 ძირი მარადმწვანე ხე და ბუჩქი, მათ შორის 2.000 ძირი ნეხილი. წელს მთლიანად მოთავდება ლენინის, ნინოშვილის, მოსკოვისა და კომკავშირის ქუჩების გამწვანება, სადაც დამატებით დაირგება 5.000 ძირზე მეტი მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარე. მოსკოვის ქუჩაზე უკვე გაშენდა ახალი სკვერი, სადაც დაირგო ორი ათას ძირზე მეტი ჭადარი, აკაცია, კედარი.

უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში ქალაქის მარჯვენა მხარეზე — ჩამორეცხილ საშეკვარდნოს კლდის ხრიოკ ფერდობზე მოეწყობა სპეციალური ნაგებობა ტერასებით, სადაც დაირგება სულ მცირე 2.000 ძირი ხე და ბუჩქი. 1960 წლის შემოდგომისათვის გაშენდება კაკლის ხეივანი ჭიათურა-საჩხერის მიმართულებით მდინარე ჯრუჭულამდე შვიდ კილომეტრზე და ჭიათურა-ზესტაფონის გზაზე ჭადრის ხეივანი ოთხ კილომეტრზე სოფელ ნაკვრძეთამდე. ამავე დროისათვის მთლიანად დამთავრდება სტადიონის ტერიტორიისა და მისასვლელი გზების გამწვანება. უახლოეს ორსამ წელს მთლიანად გამწვანდება ყველა მაღაროს ტერიტორია და მისასვლელი გზები, გამწვანდება აგრეთვე სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სკოლების შენობათა ეზოები და მისასვლელები.

გამწვანდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ჭიათურა-მანდაეთი 18 კილომეტრზე და ჭიათურა-ქვაციხე 12 კილომეტრზე. აქ დაირგება 15.000 ძირი მცენარე. გაგრძელდება სტალინის ქუჩის გამწვანება სამ კილომეტრზე ჰიონერთა სასახლისაკენ, ყოველწლიურად შემოზიდავენ 5.000 ძირ ხეხილს, რომელსაც დაურგავენ მოსახლეობას ეზოებში დასარგავად და გასახარებლად.

ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ დამატებით იკისრა გაამწვანოს და კეთილმოაწყოს კომკავშირის ხეივანი რკინიგზის სადგურის სამხრეთით. მარგანეცის ქალაქის გამწვანებისათვის გამოიყო 7 ჰექტარი სანერგე, სადაც დაირგო 15 ათასი ძირი კეთილშობილი კვიდო, 800 ძირი ჭადარი, 3.000-ზე მეტი ჭადრისა და ალვისხის კალამი.

ჭიათურელები საქმით შეუდგნენ ვალდებულებათა შესრულებას. მოსკოვისა და კომკავშირის ქუჩებზე დარგეს ათასობით ძირი მარადმწვანე მცენარე და ბუჩქი, აგრეთვე ჭადრები. კომკავშირის ქუჩის დასაწყისში დაწყებულია სკვერის გაშენება. ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა დასახლებულ უბან საფარში ახლახან დაირგო 460 ძირი რვა-ათწლიანი ჭადარი, 800 ძირზე მეტი ტუია და სხვ.

ქალაქის გამწვანების სამუშაოები კვლავ წარმატებით მიმდინარეობს. ბუნების დაცვის კვირეულთან დაკავშირებით აქ დაირგება 40.000 ძირი მცენარე.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიდი გამოცოცხლებაა ამჟამად საქართველოს ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურში. აქ უკვე დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები. მოსწავლეები განსაკუთრებული მონდომებით ამუშავებენ ნიადაგს, ამზადებენ კვლებს ბოსტნეული კულტურების დასარგავად, დეკორაციული მცენარეებისა და ყვავილების ორანჟერეებიდან გადმოსარგავად.

სურათზე: თბილისის 65-ე საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა ჯგუფი ამზადებს კვლებს ბოსტნეული კულტურებისათვის.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გაზეთების ფურცლებზე

635 ათასი ყვავილი

დადგა გაზაფხული, და ცისნისძირის სანერგეშიც გაცოცხლდა მუშაობა. სანერგე სავსეა დეკორაციული ხეხილეულებით და ყვავილების ბუჩქებით, მაგრამ კიდევ დაირგება 450 ბზის, ფორზიციის, იასამნის, ჭანჭყატას, ვერონიკას კალამი და ერთი წლის შემდეგ სანერგეს საშუალება ექნება საქართველოს ქალაქები უფრო მეტად გაამწვანოს და გაამშვენიეროს. სპეციალურად თბილისის მწვანე ბორდიურებისთვის აჭარის სანერგე წელს პირველად დაამზადებს 200 ათას ნათესარ წყავს.

საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი იღებს ათეულ ათასობით ვარდს, ვეიგელას, ბორტენზიას, მიხაილ და ნაირნაირ დეკორაციულ მცენარეს. ყვავილების გამრავლების მიზნით სანერგემ ბათუმის ბოტანიკური ბაღიდან შეიძინა 1.000 ბოლქვი გლადიოლუსის ჰიბრიდი, რომელიც სწავლულ სელექციონერ ვ. შანიძის მიერ არის დანერგილი.

მოთხოვნილება ყვავილებზე ყოველწლიურად იზრდება და სანერგეს მებაღეებიც ვარდნარს ამრავლებენ და ამდიდრებენ სხვადასხვა ხარისხის ყვავილით. ახლა აწარმოებენ ხუთნაირი სურნელოვანი და ლამაზი ვარდის დამყნობას ასკილზე.

თუ წინა წლებში ცისნისძირის სანერგიდან 175 ათასი ძირი ყვავილი იყო გაგანძლი, წელს ჩვენი ქალაქები მიიღებენ 635 ათას სამხრეთის ნაირნაირ ყვავილს.

(„ბატუმსკი რაბოჩი“).

სოფელი მწვანე სამოსით დამშვენდება

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა სოფელ იფშვიეთში ტყეების აღდგენისა და დაცვის მიზნით. ამ უკანასკნელ წლებში აქ მრავალი მცენარე დაირგო, სოფლის ცენტრსა და უბნებში გაშენდა ბაღები და სკვერები. მაგრამ აქ კიდევ მოიპოვება ცარიელი ადგილები, რომლებსაც სჭირდება ადამიანის მზრუნველი ხელი. სწორედ ამიტომ იყო, რომ იფშვიეთელებმა წითელწყაროელთა მაგალითისამებრ გადაწყვიტეს გააძლიერონ ნარგავებისადმი მზრუნველობა, თვალისჩინებივით გაუფრთხილდნენ ტყეებს.

შემოდგომაზე კოლმეურნეობის № 9 ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. კეპულაძე) ერთი ჰექტარი აკაცია, ორი ჰექტარი თუთა და ხეხილის ბაღი გააშენა. ასევე მოაქცინეს მერვე, მეათე, მეთერთმეტე და სხვა ბრიგადები.

კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ი. სიმსივე) მომდინარე წლისათვის შეიმუშავა სოფლის ცალკეული უბნების გამწვანების, ახალი სკვერების გაშენებისა და არსებული ტყეებისა და ბაღების რეკონსტრუქციის გეგმა.

(„სტალინელი“, ქუთაისი).

„გამწვანების კვირეული“

საჩხერის რაიონის მშრომელები აწყობენ გზების კეთილმოწყობისა და გამწვანების კვირეულს. გზების შეკეთებისათვის გაზიდულ უნდა იქნას 16.400 კუბური მეტრი ქვამასალა და ხრეში, დაირგება 35.350 ძირი ხე. ამის შესაბამისად სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს მიეცათ სათანადო დავალებანი.

ამ საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ჩიხის, ორღულის, ჭალის, მახა თ ა უ რ ი ს, სხვიტორის კოლმეურნეობები.

(„ოქტომბრის გზით“).

ტექნიკუმებში მიღების ახალი წესები

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესები 1959 წლისათვის.

წარსული წლებისაგან განსხვავებით 1959 წლის მიღების წესებში აღნიშნულია, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოწყვეტით, აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელ ტექნიკუმებში (სასწავლებლებში, სკოლებში) მიიღებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ დადებითი დახასიათება-რეკომენდაცია სასწავლებლებში შესასვლელად პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან, კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან. მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ დახასიათება-რეკომენდაციები სკოლებიდან და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან.

1959 წლის მიღების წესებით გათვალისწინებულია შესასვლელი გამოცდები საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ყველა შემსვლელისათვის. მოსწავლეთა შემადგენლობაში ჩარიცხვა უნდა მოხდეს შესასვლელი გამოცდების შედეგების მიხედვით საკონკურსო შერჩევის წესით.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოწყვეტით შემსვლელთა რიცხვიდან კონკურსის გარეშე ჩარიცხებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. სხვა დოკუმენტებთან ერთად ისინი მოვალენი არიან წარადგინონ ამონაწერები შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეებმა — ამონაწერები საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

იმ პირთათვის, რომლებიც დემობილიზებული არიან შეიარაღებული ძალებიდან და შედიან ტექნიკუმებში (სასწავლებლებში, სკოლებში), საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში მათი ყოფნის დრო მოსწავლეთა შემადგენლობაში ჩარიცხვისას ჩაეთვლებათ როგორც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

იმ შემთხვევებში, როცა სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირთა განცხადებებს, რაოდენობა აღემატება მოცემულ საშუალო სპეციალური სასწავლებლის მიღების გეგმის 80 პროცენტს, ტექნიკუმების (სასწავლებლების, სკოლების) დირექტორებმა საერთო კონკურსზე უნდა გამოყონ მიღების გეგმის ადგილების სულ ცოტა 20 პროცენტი.

ის პირნი, რომლებიც საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებული არიან ქების სიგელებით (ფრიადოსნები), აგრეთვე ის პირნი, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის მედლებით „ჩინებული წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, სხვა თანაბარ პირობებში, ჩაირიცხებიან პირველ რიგში როგორც საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოწყვეტით ,ისე საღამოს და დაუსწრებელ ტექნიკუმებში (სასწავლებლებში, სკოლებში).

საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ მიღებული კანონის შესაბამისად, მიიღებიან უპირატესად ის პირნი, რომლებიც მუშაობენ შესასწავლად არჩეული სპეციალობის მონათესავე პროფესიების მიხედვით.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შემსვლელნი წარადგენენ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

კონკურსს გარეშე, შესასვლელი გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას, საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხებიან დიდი სამამულო ომის მონაწილეები.

1959 წლის მიღების წესებში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება განცხადებათა ჩაბარებაში, შესასვლელი გამოცდების მოწყობის ვადებსა და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვაში.

ყველა საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეთა შემადგენლობაში ჩარიცხვას აწარმოებენ მიმღები კომისიები სასწავლებლის დირექტორის (თავმჯდომარე), სასწავლო ნაწილში დირექტორის მოადგილის, განყოფილებათა გამგეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. (საკდესი).

მშრომელთა საკეთილდღეოდ

რაიონის ახალმშენებლობანი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში დასასრულს უახლოვდება ახალი კინოთეატრის მშენებლობა. იგი 400-ადგილიანია, აქვს ფოიე და დამმზმარე ოთახები. კინოთეატრი საპირველმაისოდ გაიხსნება. მალე დამთავრდება საცხოვრებელი სახლის, რაიმაღაზიის შენობები. მაღაზიას ექნება ქსოვილების, ფეხსაცმლის, საგალანტერეო, რკინა-კაკვეულის განყოფილებები. ტიპური პროექტებით ახალი მაღაზიები აშენდა აგრეთვე სოფლებში წყალაფორეთსა და ეერტყვიეკალაში, მოლითსა და სარგვეშში აშენდა პურის საცხობები, ნოლო კიცხში სასადილო.

საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობა

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ლამაზი სოფელია ნაბუმე. სოფელში სამი დიდი კოლმეურნეობაა. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს კულტურის სახლს 350 მაყურებლისათვის, ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო ახალი კლუბ-კინოთეატრის მშენებლობა. მალე დაიწყება მაღაზიისა და სასადილოების აგება. კოლმეურნეობები აშენებენ საშუალო სკოლას, რომელსაც ეშენება კეთილმოწყობილი სახელოსნოები და ლაბორატორიები.

უმჯობესდება კინომომსახურება

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). დღითიდღე უმჯობესდება კინომომსახურება გეგეჭკორის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში. ახლა სოფლებს ემსახურება 13 სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი. შარშან სოფლებში ხუნწსა და ნაგვაზაოში გაიხსნა კულტურის სახლები, სადაც სისტემატურად უნვენებენ ახალ კინოსურათებს. რაიონის ცენტრში აშენდა 400-ადგილიანი კინოთეატრი. თამაკოხისა და ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭოებში მოეწყო ახალი კინოდანადგარები.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისათვის

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო აღმავლობასთან ერთად დიდი გასაქანი მიეცა მეცნიერების განვითარებას. მეცნიერების მრავალ დარგთაგან, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შეიქმნა, აღსანიშნავია ქართველი ხალხის წარსულის მატერიალური და სულიერი კულტურის შემსწავლელი მეცნიერებანი, რომელთაც მოპოვებული შედეგებით მრავალმხრივ გაფაართოეს ჩვენი ცოდნა ქართველი ერის წარსულის შესახებ. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებამდე ჩვენი წარსული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას დიდი ნაკლოვანებები ახასიათებდა იმ მხრივ, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას, როგორც კულტურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. მართალია, ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვის ცდები ადრევე დაიწყო, მაგრამ იმის შედეგად, რომ ჯერ კიდევ საფუძველიანად არ იყო მდარეული ბერეუაზიული ისტორიოგრაფიის მავნე გავლენა, ამ ცდებს სათანადო წარმატება არ ჰქონიათ.

ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ კატეგორიათა ფილიაციის ბერეუაზიულ-იდეალისტური თვალსაზრისი პრინციპულად ეწინააღმდეგება ფილოსოფიის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გაგებას, ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დააყენა საკითხი ფილოსოფიის ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ, რომელიც მოიცავდა აგრეთვე საბჭოთა ხალხების ფილოსოფიურ აზრსაც. ამით უარყოფილი იქნებოდა იდეალისტური თვალსაზრისი ხალხების დაყოფისა „ფილოსოფიურ“ და „არაფილოსოფიურ“ ერებად. 1947 წელს მოსკოვში ჩატარებულმა ფილოსოფიურმა დისკუსიამ დასახა ღონისძიებანი ფილოსოფიის ისტორიის მარქსისტული გაშუქებისათვის.

აღნიშნულ ღონისძიებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით ყურადღება მიექცა აგრეთვე ქართული ფილოსოფიის ისტორიის სისტემატურ დამუშავებას, რამაც სულ მოკლე ხანში შესანიშნავი შედეგები გამოიღო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის დიდი მუშაობა, რაც ამ მიმართულებით გასწია პროფესორმა შ. ნუცუბიძემ, რომელმაც თავისი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები ამ ხანმოკლე ვადაში „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“. ამ შრომის მეორე ტომი, რომელიც შარშან მიიღო ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ, მოიცავს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას XII საუკუნიდან XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით; იგი წარმოადგენს ისეთ გამოკვლევას, რომელსაც დღეს გვერდს ვერ აუვლის არამც თუ ქართული აზროვნების ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი, არამედ იგი მრავალმხრივ საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი მეზობელი ხალხებისა და განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ფილოსოფიის მკვლევარ დასავლეთის მეცნიერთათვისაც. ეს გარემოება ითქმა არის გამოწვეული, რომ პროფესორი შ. ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიის ისტორიას უაღრესად ფართო პროფილით განიხილავს და აჩვენებს იმ მნიშვნელოვან საკვანძო მომენტებს, რომლებიც ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას ჰქონდა დასავლეთთან, სომხეთთან და რუსეთთან. პროფესორ შ. ნუცუბიძის მტკიცებით, სიბნელით მოცული მრავალი საკითხი, განსაკუთრებით დასავლეთის მეცნიერებისა, ნათელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ ქართული აზროვნების ისტორიის სათანადო მომენტები იქნა გათვალისწინებული.

განსახილველ საკითხთაგან უპირველეს ყოვლისა გვინდა შევეხეთ იმ მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რომელზეც აშენებულია სარეცენზიო ნაშრომი.

პროფესორ შ. ნუცუბიძის წინაშე იდგა უაღრესად რთული ამოცანა: მას ქართული ფილოსოფიის ისტორია უნდა გაენახილა არა როგორც კატეგორიათა ფილიაცია, არამედ როგორც ერთი მთლიანი კანონზომიერი პროცესი, გაპირობებული შესაბამისი ცხოვრების პირობებით. ეს ამოცანა პროფესორმა შ. ნუცუბიძემ კარგად განახორციელა.

პროფესორი შ. ნუცუბიძე ცდილობს ყოველ ფილოსოფიურ მძიდინარეობაში გარკვეული სოციალური შინაარსი დანახოს და, მაშასადამე, მთელი ეპოქების ფილოსოფიური მიმდინარეობანი და ბრძოლა ფილოსოფიურ მიმდინარეობებს შორის ახსნას ამ ეპოქების სოციალური ვითარებით, კლასობრივი ხასიათის იმ შინაგანი ანტაგონიზმებით, რომლებიც ამა თუ იმ სოციალურ გარემოს ახასიათებდა.

ემყარება რა ცხოვრების ობიექტურ პროცესთან ლოგიკურის კავშირს, პროფესორ შ. ნუცუბიძეს კარგად აქვს გათვალისწინებული მარქსიზმის ის პრინციპიც, რომ რეალურ პროცესთან ურთიერთობაში ფილოსოფიაზე უშუალო განმსაზღვრელ გაელენას პოლიტიკური ურთიერთობა ახდენს.

ერთი ძირითადი პრინციპი, რასაც ემყარება პროფესორ შ. ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, არის ის, რომ უარყოფილ იქნას აზროვნების განვითარების ერთიანი ნაკადის ანტიმეცნიერული თვალსაზრისი და ქართული ფილოსოფიის ისტორია წარმოადგინოს როგორც სპინოსპირი იდეოლოგიათა — იდეალიზმისა და მატერიალიზმის ბრძოლის ისტორიად, რომელიც შესაძლოა ზოგჯერ შეცვლილ ფორმებშიც მოგვეგლინოს, მსგავსად ნომინალიზმისა და რეალიზმის ბრძოლისა დასავლეთში.

არსებული იდეოლოგიური დაპირისპირების შესაბამისად პროფესორ შ. ნუცუბიძეს ქართული ფილოსოფიის ისტორია განხილული აქვს იმის მიხედვით, თუ რა სახით ვვეკონიტება ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მატერიალიზმის და დიალექტიკის ელემენტები და როგორ ებრძვის მას საწინააღმდეგო მიმდინარეობა. ამ ცენტრალური საკითხის მიხედვით განიხილავს ავტორი პეტრიწსა და მის დამკიდებულებას წინამორბედ ქართულ აზროვნებასთან.

პეტრიწის ფილოსოფია, ავტორის აზრით, ფილოსოფიური გამაორილია ქართული ერთმმართველობისა და, მაშასადამე, იმ პროგრესული პოლიტიკური ხაზისა, რომელსაც ატარებდა დავთი აღმაშენებელი. როგორც ასეთი, იგი უპირისპირდება არსენ იყალთოელს, რომელიც ერთმმართველობის საწინააღმდეგო იდეოლოგიის და, მაშასადამე, რეაქციული ფილოსოფიის წარმომადგენელია.

პეტრიწის პროგრესულობას ფილოსოფიაში ავტორი იმაში ხედავს, რომ მის აზროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პანთეისტურ-მატერიალისტურ თვალსაზრისს, თუმცა იგი თავისუფალი არ იყო აგრეთვე კოსმოლოგიური ელემენტებისაგან. პეტრიწის მატერიალიზმის შეზღუდულობას ავტორი ხსნის იმ ისტორიული ვითარების შეზღუდულობით, რომელშიც პეტრიწს უხდებოდა მოღვაწეობა, როდესაც ერთი მხრივ იმარჯვებდა ერთმმართველობა და პეტრიწიც ამ „ერთისა“ და პირველის ფილოსოფიურ გამართლებას აზდენდა, ხოლო მეორე მხრივ დაძლეული არ იყო რეაქციული ფეოდალური ძალები. პეტრიწს მათთვისაც ანგარიში უნდა გაეწია.

პროფესორი შ. ნუცუბიძე ასაბუთებს, რომ ის იდეური წყარო, რომლიდანაც პეტრიწმა პანთეისტური მატერიალიზმის იდეები მიიღო, იყო პეტრე იბერი, რომელმაც მასზე ადრე ქართულად „გადმოიღო“ პროკლეს „კავშირნი“, განავითარა ნეოპლატონიზმი ქრისტიანობის მიმართულებით და ამ ქრისტიანობის საფარში წარმართული ფილოსოფიის იდეები შემოიტანა.

პროფესორი შ. ნუცუბიძე მეტად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს პეტრიწისა და რუსთაველის მიმართების შესახებ. მისი აზრით, რუსთაველი მხატვრული ფორმით იმავე ერთმმართველობის გამართლებას ემსახურებოდა, რის ფილოსოფიურ გამართლებასაც ცდილობდა პეტრიწი.

სარეცენზიო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბა სულხან ორბელიანისა და ანტონ ბაგრატიონის ფილოსოფიურ შეხედულებათა ანალიზსა და მათი ადგილის გარკვევას ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. გასსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოკვლევა ა. ბაგრატიონზე; თუ აქამდე ჩვენს ლიტერატურაში ეს მოაზროვნე შეფასებული იყო როგორც რეაქციონერი, პროფესორმა შ. ნუცუბიძემ პროფესორ ფრანგიშვილთან ერთად არსებითად გადასინჯა ეს შეფასება, აჩვენა მატერიალისტური ტენდენცია მისი ნაზრებისა და ის დიდი როლი, რაც მან ითამაშა ქართული აზროვნების დაახლოებაში დასავლეთისა და რუსეთ პროგრესულ აზროვნებასთან. რაც შეეხება ს. ს. ორბელიანს, უაღრეს ყურადღებას იმსახურებს „სიბრძნე სიცრუისა“ ავტორისეული განმარტება, რომლის თანახმად აქ იგულისხმება „სიბრძნე მიღწეული სიცრუის სიცრუედ აღიარებით“ (257). ეს უკანასკნელი განმარტება კი იმის მაჩვენებელია, ფიქრობს პროფესორი შ. ნუცუბიძე, რომ ს. ს. ორბელიანი პეტრე იბერიდან მომდინარე „ნეგატიური დიალექტიკის თვალსაზრისზე დგას“.

დიდი მუშაობა აქვს გაწეული ავტორს იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ ფილოსოფიური შინაარსისა და სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიის ადგილის გარკვევისათვის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კალმასობის“ მიზანია „ერთგვარი გადახედვა საქართველოს ისტორიის ჩამავალი მზის სხივზე საშობლოს წარსულისათვის, მისი მიღწევებისათვის, მის მოღვაწეთა საქმიანობისათვის და ამ სახით შემოსული XVIII-XIX საუკუნეების ვითარებაში“.

ჩვენი აზრით, ვინაიდან ავტორი მიზნად არ ისახავდა სარეცენზიო ნაშრომში XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის განხილვას, ნაშრომიც „კალმასობით“ უნდა დამთავრებულიყო. რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილს, ამ მოაზროვნისადმი მიძღვნილი სპეციალური თავი ერთ-ერთი საუკეთესოა სარეცენზიო ნაშრომში, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ს. დოდაშვილი უკვე ახალი დროის დამწყებია და წინამორბედი ქართველ 60-იანელთა დიდი თაობის, ვიდრე შემაჯამებელი წარსულისა. ამიტომ, თუ XVIII საუკუნე უნდა დამთავრდეს ი. ბაგრატიონის „კალმასობით“, XIX საუკუნე ს. დოდაშვილით უნდა დაიწყოს.

სარეცენზიო ნაშრომის კითხვისას შეიძლება წარმოიშვას სხვა მრავალი მოსაზრება და შენიშვნა, შეიძლება სადაოდ გახდეს ისიც, თუ რამდენად ჩაეჯდომენი იყვნენ ქართველი მოაზროვნეები პეტრე იბერის საკითხში და, ამიტომ, რამდენად გამართლებულია ქართული ფილოსოფიის ისტორიის მთელი მანძილისათვის მაგისტრალურ ხაზად პეტრე იბერიდან დაწყებული მატერიალიზმისა და უარყოფითი დიალექტიკის ელემენტების მინნევა და სხვა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ სარეცენზიო ნაშრომი აღიარებულ იქნას უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევად ჩვენი კულტურის ისტორიაში. სწორედ ამ მნიშვნელობით აღინიშნება, რომ სარეცენზიო ნაშრომმა ასეთი დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში და ასე გულთბილად მიიღო იგი ჩვენმა ფართო მკითხველმა საზოგადოებრიობამ.

ვ. ბაგოიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მთელი საზოგადოებრიობის საქმე

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სკკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან გამოქვეყნებულ დადგენილებას „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში იქმნება საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, რომლებშიც შედიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, სტუდენტები, მოსწავლეები, პენსიონერები.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ იმისათვის, რომ კომუნისტური, ალმაზრდელობითი მუშაობით საბჭოთა ადამიანებმა სამუდამოდ მოიშორონ ძველი სამყაროს სიმახინჯენი და დაამკვიდრონ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები და ნორმები. მოუხედავად ამისა, მაინც საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისა და ნორმების დარღვევის ფაქტები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია.

არიან ერთეული მოქალაქენი, ახალგაზრდები, რომლებიც უხეშად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებსა და ნორმებს, გვერდს უვლიან საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას, ქუჩაში, ადამიანთა თავმოყრის ადგილებში, საცხოვრებელ ბინებში, რესტორანებში, შინ ბოლ ბარეთ ეკრინებენ უზრდელობას და უღირსებებს. ეს ძირითადად და უფრო მეტად გამოიხატება ლოთობით, პარაზიტული და ფუჭსავატური ყოფაქცევით; ხულიგნობით, ავსიტყვაობით; ეგოისტური ზნე-ჩვევები და ადამიანებისადმი, უფროსებისადმი უპატივცემლობით; ქალაშვილებისადმი ხულიგნური, არაადამიანური მოპყრობით და სისხლის სამართლის დანაშაულობათა ჩადენით.

ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონის რესტორანში დათვრნენ მოქალაქეები გ. საგინაშვილი, ი. არუთინოვი, ჰ. ლორთქიფანიძე და სხვ. მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და მოინდომეს „ქეიფის“ გაგრძელება ერთ-ერთი მათგანის ოჯახში. საგინაშვილმა თავის მანქანაში ჩასვა არუთინოვი, ლორთქიფანიძე და ისე წავიდნენ. მეტალურგების დასახლებასთან მანქანა გააჩერეს, ჩამოვიდნენ და უმიზეზოდ აუტეხეს ჩხუბი, დანებით მიაყენეს ჭრილობები სრულიად უდანაშაულო 4 ახალგაზრდას, შემდეგ კი პასუხისმგებლობის



ინგლისელი არქიტექტორის შთაბეჭდილებანი

უცხოელთა თვალით

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირი შესანიშნავ ყოველთვიურ ჟურნალ „ჩემი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“ ბეჭდავს ინგლისელ არქიტექტორ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და ვერმანულ ენებზე უშვებს ამ ჟურნალს. ამ ჟურნალში ინგლისელ არქიტექტორ ალენ ბრაუნის „ინგლისელი არქიტექტორის შთაბეჭდილებანი“ ბეჭდავს ინგლისელ ინჟინერ-

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივმა კომისიამ, რომელსაც 31 მარტიდან 2 აპრილამდე სხდომები ჰქონდა მოსკოვში, მიიღო შეთანხმებული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობენ 1959-1965 წლებში შავი ლითონების, კოქსის წარმოებისა და რკინის მადნის მოპოვების მნიშვნელოვნად გადიდებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნებში.

კომისიის სხდომებში მონაწილეობდნენ ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. მეთვალყურეებად ესწრებოდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები.

მოსკოვში გაიმართა აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ქვანახშირის მრეწველობისა და შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივ კომისიათა დელეგაციების სხდომა. დასახულია ქვანახშირის გამდიდრებისა და ხარისხის დარგში შემდგომი თანამშრომლობის პროგრამა. (საკდესი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲣᲚᲘ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 7 აპრილი. (საკდესი). რეზოლუციაში „ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის მშრომელთა ბრძოლის განვითარების შესახებ“, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XIX სესიამ მიიღო, ლაპარაკია მშრომელთა მდგომარეობაზე კაპიტალისტურ და სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში მზარდ ახალ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, რომლის შედეგად კაპიტალისტურ სამყაროში გაძლიერდა მასობრივი, ნაწილობრივი და სრული უმუშევრობა, რასაც თან ახლავს მილიონობით მშრომელისა და მათი ოჯახების სიღატაკე და ტანჯვა.

მყიდველობითი უნარის დაქვეითების, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, ფასების ზრდის, სამუშაოდან მასობრივი დათხოვნის პირობებში, მონოპოლიების საერთაშორისო კოალიციის წინაშე მშრომელებსა და პროფკავშირებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციაში შედიან, შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა თავიანთი ძალების დარაზმვა. ისინი სულ უფრო ხშირად და სულ უფრო წარმატებით მიმართავენ მძლავრ ერთობლივ მოქმედებას ხელფასის გადიდებისა და გარანტირებული თვიური ხელფასის დაწესებისათვის, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელ მინიმუმს; დასაქმების დასაცავად, იმ რეფორმების განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია მონოპოლიების ძალადობის, სახელმწიფოზე მათი ბატონობის შეზღუდვა, და, კერძოდ, მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაციისათვის; სამუშაო დროის შემოკლებისათვის ხელფასის შეუმცირებლად; მრომის მომქანცველი მეთოდების წინააღმდეგ; საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის სრულიად უდისკრიმინაციოდ და ემბარგოს გაუქმებისათვის.

აღმასრულებელი კომიტეტი, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისა და პროფკავშირების უურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა ერთიანობის სულისკვეთებით მოეწყოს მუშათა კლასის მძლავრი მასობრივი გამოსვლები მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებთან ერთად, რათა ბოლო მოეღოს დათხოვნასა და უმუშევრობას და მიღწეულ იქნას მშრომელთა სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღმასრულებელი კომიტეტი, ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ დროს გაფართოდა კონტაქტი სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და ერთობლივ ინიციატივას შორის, რომელთა მიზანია კოორდინაცია ბრძოლისა მშრომელთა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის.

პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად აღმასრულებელი კომიტეტი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს ანდობს მოაწყოს კონსულტაციები ეროვნულ პროფცენტრებთან იმისათვის, რომ შეიმუშაოს მოქმედების პროგრამა-მინიმუმი მშრომელთა სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, რომელიც მისაღები იქნება ყველა მიმართულების პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის.

აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშრომელსა და პროფკავშირს, მიუხედავად მათი ორგანიზაციული კუთვნილებისა, დარაზმონ თავიანთი ძალები და მონოპოლიების გამოსვლას დაუპირდაპირონ მუშათა კლასის მძლავრი ერთიანი ფრონტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას წარმატებით ბრძოლა მშვიდობისა და სოციალური პროგრესის შენარჩუნებისათვის.

ᲡᲐᲖᲦᲕᲘᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲨᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ ჰელსინკის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მოაწყო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირმა“ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელის მოწერის 11 წლისთავის აღსანიშნავად.

კრებას დაესწრნენ: ფინეთის პრეზიდენტი უ. კეკონენი, პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ტერნეგრენი და მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტის დეპუტატები, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ გენერალური მდივანი ტ. კარვონენი, საზოგადოების გამგეობის წევრები, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

დამსწრეთა შორის იყვნენ აგრეთვე საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, საზოგადოება „სსრ კავშირ-ფინეთის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ა. პ. ვოლკოვის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი.

კრებაზე ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუქსელაინენმა, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ ვიცე-თავმჯდომარემ პროფესორმა ფონ ბუნსდორფმა და საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ „ᲪᲣᲓᲘ ᲞᲠᲔᲚᲣᲓᲘᲐ“

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საბჭოს ვაშინგტონში გამართულ სესიის შედეგებს, იგ მორო გაზეთ „ლუმანიტეში“ აცხადებს, რომ ნატოს საბჭოს სხდომები „ცუდი პრელუდია იყო“ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა, რომელიც უნდა გაიხსნას 11 მაისს ჟენევაში.

იგ მორო აკრიტიკებს დასავლეთის სახელმწიფოებს, კერძოდ, მათი განზრახვისათვის გაეჯიანურონ სახავო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან იმ მომენტამდე, როცა განხორციელდება გერმანიის გაერთიანება. „ასეთი გაჯიანურება, — წერს იგი, — საშუალებას მისცემს ბონელ რევანშისტებს დიდი ხნით გადადონ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა და ამრიგად თავიდან აიცილონ იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც უნდა დაანერგოს საზავო ხელშეკრულებამ, რათა ხელი შეუშალოს გერმანიის მილიტარიზმს კვლავ შეუქმნას საფრთხე ევროპის უშიშროებას“.

„თუმცა ნატოს საბჭო, — წერს დასასრულ იგ მორო, — იძულებული იყო ეღიარებინა ის ფაქტი, რომ მოლაპარაკება (აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლებს შორის. — რედ. შენიშვნა) ამერიდან გარდუვალია, მიუხედავად ამისა, მან არ გამოიჩინა არავითარი მისწრაფება უზრუნველყოს ამ მოლაპარაკების წარმატება“.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „დეილი მირორი“, რომელიც მასობრივი ტირაჟით გამოდის, დღეს მოკლედ ათავსებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შინაარსს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავების ფრენის წესის დარღვევის შესახებ და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირმა ამერიკას ბრალად დასდო, რომ ასეთი აქციებით იგი საფრთხეს უქმნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების გეგმებს.

სარედაქციო სტატიაში სათაურით „საბნედრო უგუნურება“, „დეილი მირორი“ აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებში აგრეთვე გაისმის ხმები, რომლებიც აკრიტიკებენ „ამერიკელ გენერლებს, რომლებიც თავიანთი გრძელი ენით საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობის იმედს“.

მოჰყავს რა ნიუ-იორკის მთელი რიგი გაზეთების აზრები, „დეილი მირორი“ წერს, რომ ამერიკელმა გენერლებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი ჩარევა პოლიტიკაში, სანამ ახალი ზიანი არ მოუტანიათ.

ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ლარჟანტიერში (არდენის დეპარტამენტი) გაიმართა ეროვნული კრების არჩევნები იმასთან დაკავშირებით, რომ აქ არჩეული დეპუტატის ლიოჟიეს (ახალი რესპუბლიკის დაცვის პარტია) რწმუნებანი მიჩნეულ იქნა არაკანონიერად.

დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ კომუნისტ როჟე რუკოტას კანდიდატურამ მოაგროვა 10.598 ხმა, ანუ 30,6 პროცენტი. საგულისხმოა, რომ კომუნისტ კანდიდატს მისცეს თითქმის 10 პროცენტით მეტი ხმა, ვიდრე პარლამენტის 1958 წლის ნოემბრის არჩევნებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა გუშინ ვერ მიიღო ხმის საჭირო რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲐᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ

ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲐ, 6 აპრილი. (საკდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის სრულიად ინდოეთის კონფერენციის გუშინ გამართულ პლენარულ სხდომაზე ერთსულოვნად დაამტკიცეს რეზოლუციები, რომლებიც შეიმუშავეს და მოაწოდეს კონფერენციის კომიტეტებმა.

პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუციაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის შესახებ გამოთქმულია რწმენა, რომ აფრიკის ხალხები მოიპოვებენ თავიანთ თავისუფლებას.

კონფერენცია აცხადებს, რომ სავსებით უქერს მხარს ალჟირის, კამერუნის, დასავლეთ აფრიკის, კენიისა და სხვა ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

რეზოლუციაში დასავლეთ ირიანის შესახებ კონფერენციამ მხარი დაუჭირა ინდონეზიის მოთხოვნებს, რომ დასავლეთ ირიანი შეიყვანონ ინდონეზიის შემადგენლობაში.

კონფერენცია, ნათქვამია შემდეგ, მხარს უჭერს ჩინელი ხალხის მოთხოვნებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ტაივანის დაბრუნების შესახებ, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის. „ეს მოთხოვნა სულ უფრო არსებითი ხდება, — აღნიშნულია რეზოლუციაში, — რადენადაც ტაივანს ამერიკა ჯერ კიდევ იყენებს სამხედრო ბაზად და ეშურება აზიის ხალხების სუვერენიტეტსა და საერთაშორისო მშვიდობას“.

კონფერენციამ დაგმო სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მიერ წამების გამოყენება პოლიტიკურ პატიმართა მიმართ და მოუწოდა ვიეტნამის გაერთიანებისაკენ ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე.

რეზოლუციაში კორეის შესახებ კონფერენციამ მოითხოვა ამერიკის ჯარების გაყვანა სამხრეთ კორეიდან. ამასთან კონფერენცია მაგალითად იმოწმებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარების გაყვანას კორეიდან.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ ბოგის გაერთიანებას ინდოეთთან, რასობრივი ტერორის დაგმობას სამხრეთ აფრიკის კავშირში, სამხედრო პაქტების — სეატოსა და ბაღდადის პაქტის — და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებს შორის ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა დაგმობას.

„ბაღდადის პაქტი, სეატო და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი სამხედრო პაქტები თვითეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად, — აღნიშნულია რეზოლუციაში სამხედრო პაქტებისა და ბაზების შესახებ, — სერიოზულ საფრთხეს უქმნიან აფრიკა-აზიის ქვეყნების უშიშროებასა და დამოუკიდებლობას და მათ ურთიერთობას“. კონფერენცია მოუწოდებს გაწყვიტონ სამხედრო კავშირები და მოსპონ უცხოთის ყველა სამხედრო ბაზა აზიასა და აფრიკაში.

კონფერენციამ მოითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის მისი კანონიერი ადგილის მიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

„აზიისა და აფრიკის ხალხები, — ნათქვამია რეზოლუციაში საერთაშორისო მშვიდობის შესახებ, — დიდად არიან დაინტერესებული საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებით და ცივი ომის შეწყვეტით“. კონფერენციამ მოითხოვა დაუყოვნებლივ და უთუოდ აიკრძალოს ატომგულის იარაღის გამოცდა და მიესალმა დიდ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევას როგორც პირველ ნაბიჯს უმაღლესი დონის თათბირის გზაზე.

კონფერენციამ მოუწოდა აღნიშნონ ინდოეთში 16 მაისი, როგორც. პროტესტის დღე ამერიკა-პაკისტანის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ინდოეთის დამოუკიდებლობას.

რეზოლუციაში აფრიკა-აზიის სოლიდარობის შესახებ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ორი კონტინენტის ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცება ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონფერენცია გამოთქვამს იმედს, რომ დაინტერესებული სახელმწიფოები გაანიხილავენ საკითხს ახალი კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც იქნება ბანდუნგის კონფერენციის განგრძობა.

რეზოლუციაში კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ კმაყოფილებით აღნიშნულია ღონისძიებანი, რომლებიც მიღებულია ამ დარგში, კერძოდ, აზიის და აფრიკის ქვეყნების მეცნიერთა კონფერენციის წარმატებით მოწყობა ტაშკენტში. კონტაქტების გაფართოებისათვის შემდგომი ნაბიჯების სახით რეზოლუცია მოითხოვს მწერალთა, მხატვართა, სტუდენტთა, მეცნიერთა, სპორტსმენთა და სხვ. ვიზიტების გაცვლის მოწყობას, აფრიკა-აზიის ქვეყნების ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენების მოწყობას, თვალსაჩინო თარიღების დღესასწაულს და სხვ.

რეზოლუცია ეკონომიური კოლონიალიზმის შესახებ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ქვეყნებში შეიცავს მოწოდებას გზა გაეკაფოს თავისუფალ ეკონომიურ განვითარებას, ეკონომიური კოლონიალიზმის იმ ნაშთებისაგან განთავისუფლებას, რომლებიც გამოიხატება უცხოთის კონტროლით ბუნებრივი რესურსებისადმი, ბანკებისადმი, საგარეო ვაჭრობისადმი და სხვ. ეკონომიური განვითარების ინტერესებისათვის, აღნიშნულია შემდეგ, ლიკვიდირებულ უნდა იქნას ეკონომიური კოლონიალიზმის ყველა პრიველეგია. ყველა დამოუკიდებელმა ქვეყანამ უნდა ითანამშრომლოს კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საქმეში. კონფერენცია მოითხოვს განხორციელდეს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, ამაღლდეს მასების ცხოვრების დონე, განხორციელდეს პროგრესული რეფორმები, პირველ რიგში მიწის რეფორმები.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. ასობით მოხეტიალე მუშა, რომლებიც ნევადის შტატში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ჩამოვიდნენ, ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსავლის აღების დრო ჯერ არ დამდგარა, სხვა სამუშაო კი არ არის. მათი ოჯახები შიმშილობენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: რეპორტიორი ესაუბრება სანტოს ლოპესის ოჯახს, რომელშიც 14 ბავშვია. ოჯახი ცხოვრობს ფერმერისაგან ნათხოვარ კარვებში.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ�გᲐᲠᲔᲗ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ „ᲚᲣᲛᲐᲜᲘᲢᲔᲡᲘᲡ“ ᲙᲠᲝᲡᲨᲘ

გაზეთ „ლუმანიტეს“ სახელობის კროსი საფრანგეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი ტრადიციული ახალგაზრდობა გახდა და ყოველთვის მრავალ სპორტსმენს იზიდავს.

6 აპრილს ამ შეჯიბრებაში (რიცხვით 22-ე) მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ქალთათვის დისტანცია ორნახევარ კილომეტრს შეადგენდა. სტარტის აღებიდანვე საბჭოთა სპორტსმენები დაწინაურდნენ. ისინი მთელ დისტანციაზე ლიდერობდნენ შეჯიბრებას და პირველი ხუთი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებული გამოვიდა უკრაინელი მძლეოსანი ლ. იანგარიოვა.

ვაუთა შორის კროსის დისტანცია 10.000 მეტრი იყო. აქ უძლიერესები იყვნენ პოლონელები. პირველ ადგილზე გამოვიდა ე. ხრომიკი. საბჭოთა კავშირის მძლეოსანმა არტენიუკმა მესამე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა მძლეოსან ქალებს საზეიმოდ გადაეცათ სპეციალური პრიზი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 აპრილი (საკდესი). აქ შეეჯახენ „ლუმანიტეს“ საერთაშორისო კროსის საერთო შედეგები, რომელიც გუშინ ვინსენინ ტუეში მიეწყო. საერთო პირველი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომელთაც გადაეცათ ოგიუს დელონის პრიზი; ეს პრიზი დაწესებულია „შრომის სპორტული და სატანვარჯიშო ფედერაციის“ გენერალური მდივნის სამახსოვროდ, რომელიც ნაცისტებმა საფრანგეთის ოკუპაციის წლებში წამებით მოკლეს.

პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში ვაუთა შორის დაიკავეს პოლონელმა სპორტსმენებმა, რომლებსაც გადაეცათ ძმების ზნამენსკეების სახელობის პრიზი.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სამხრეთ ამერიკის პირველობის გათამაშება ფეხბურთში აღსავსე იყო შეუპოვარი ბრძოლით. ჩემპიონის წოდებისათვის ებრძოდნენ ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაის, ჩილისა და ბოლივიის გუნდები.

მსოფლიოს ჩემპიონმა ბრაზილიის გუნდმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ამიტომ ბრაზილიელებს მატჩებში ენერგიის მაქსიმალური დაძაბვა უხდებოდათ. მაგალითად, პერუს გუნდთან მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

პირველობის მთავარი პრეტენდენტები — არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები ფინიშთან მივიდნენ ქულათა უმცირესი განსხვავებით. შედეგ გადამწყვეტი მატჩები. შეგროვებული ქულების მიხედვით სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს არგენტინელებმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲛᲫᲚᲝᲛᲡᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მძლეოსნთა საგაზაფხულო შეჯიბრება. გუშინ გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები. სპორტსმენები ერომანიუის პირველობას ეცილებოდნენ მძლეოსნობის 11 სახეობაში.

ამანათრბენში ქალთათვის და ვაჟთათვის 4×100 მეტრზე უძლიერესები იყვნენ თბილისელი მძლეოსნები. 20 კილომეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ვ. ზახაროვმა, ვაჟთათვის 200 მეტრზე რბენაში — ნ. კლუეკვმა, შუბის ტყორცნაში — ლ. შაგოვმა, ქალთათვის 400 მეტრზე რბენაში — გ. ზრაკეესკაიამ, ბირთვის კვრაში — ლ. ტუღუშმა.

საქართველოს მძლეოსანთა საგაზაფხულო სტარტი აღინიშნა თვალსაჩინო წარმატებით. შეჯიბრების დღეებში დამყარებულია ჩვენი რესპუბლიკის 4 ახალი რეკორდი. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მძლეოსანთა კოლექტივმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ქუთაისისა და აჭარის გუნდებმა.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. 6 აპრილი. (სპეც. კორ.). დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს 1959 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის.

რესპუბლიკური ჩემპიონატის დებულების გაცნობის შემდეგ მოეწყო წილისყრა, რომლის შედეგი ასეთია: 1. ნ. კიკიანი (ზუგდიდი), 2. თ. ეორეოლაძე (თბილისი), 3. ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი), 4. მ. ტოგონიძე (თბილისი), 5. ქ. გოგიავა (თბილისი), 6. ო. შათირიშვილი (ბახარაძე), 7. მ. ჩომახიძე (თბილისი), 8. გ. ბუცხრიკიძე (თბილისი), 9. ლ. წეროძე (თბილისი), 10. გ. ბებიავა (ქუთაისი), 11. ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), 12. მ. სტატხიკოვა (თბილისი), 13. ნ. ჯანგველაძე (თბილისი), 14. ე. კაკაბაძე (თბილისი), 15. ლ. ხაჭაპურიძე (თბილისი), 16. ლ. ბელოზიოროვა (თბილისი).

ჩემპიონატს დაემთხვა ზუგდიდში ახალი საკადრაკო კლუბის გახსნა. დაწესებულია 6 სპეციალური ჯილდო. შეჯიბრების მთავარი მსაჯია ლ. გელოვანი. დასასრულს მოეწყო ელვისებური ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა გ. გაჩეჩილაძემ, მეორე — ნ. გაფრინდაშვილმა, მესამე — მ. დემურიამ.

• • •

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. 7 აპრილი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს გაიმართა ქალთა რესპუბლიკური საკადრაკო ჩემპიონატის პირველი ტური.

ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ო. შათირიშვილი, ა. ჩაიკოვსკაიამ — ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძემ — ნ. ჯანგველაძე, მ. ჩომახიძემ — გ. ბებიავა, გ. ბუცხრიკიძემ — ლ. წეროძე. ქ. გოგიავა-მ. სტატხიკოვას პარტიაში მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. თ. ეორეოლაძისა და ლ. ხაჭაპურიძის პარტია გადაიდო პირველისათვის უკეთეს პოზიციაში. ნ. კიკიან-ლ. ბელოზიოროვას პარტია არ შემდგარა.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: თბომავალი „საქართველო“ შედის ბათუმის პორტში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა კავკასიის ხალხთა ეროვნული ტანსაცმლის გამოფენა.

გამოფენაზე მთლიანი კომპლექტების სახით წარმოდგენილია ამიერკავკასიის, ცენტრალური კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ძირითადი ტიპების სრული კომპლექტები — ზედა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბური და სხვ. სხვადასხვა კოსტიუმის თვითეულ კომპლექტს ახლავს მხატვრული საილუსტრაციო მასალა — მოსახლეობის ტიპები ეროვნული ტანსაცმლით, ტანსაცმლის ძირითადი ელემენტების თარგები, გავრცელების არეები და ამსხნელი ტექსტები და სხვ., სულ 28 კარადასა და 20 სტენდზე წარმოდგენილია სხვადასხვა ტანსაცმლის 250-მდე ელემენტი ორიგინალის სახით და ამდენივე ილუსტრაცია. აქ არის სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩერქეზი, უბადრალელი, ოსი, დაღისტანელი და სხვა ხალხების ტანსაცმლის ძირითადი ტიპები და მათი სახესხვაობანი.

დამთვალიერებელი შენიშნავს, რომ კავკასიის ხალხთა ეროვნული ტანსაცმელი, მაგალითად, ჩოხა, ქალის კაბა, ნაბადი, უაბალახი, ქალის თავსაბური, სამკაულები და ფეხსაცმელი, შეიცავენ კავკასიური კოსტიუმის ძირითად საერთო ელემენტებს. ამასთანავე წარმოდგენილია კავკასიის ცალკეულ ხალხთა ტანსაცმლის თვითმყოფი სახეები, რომლებიც სავსებით განსხვავდება სხვა რომელიმე ხალხის ტანსაცმლისაგან. მაგალითად, სომეხი ქალის ძველებური მაღალი თავსახური, ავარელი და ანდიელი ქალის თავსახური, ჭვინტიანი ფეხსაცმელი (საქორწინო) და სხვ., რომლებიც მხოლოდ მათთვის არის დამახასიათებელი.

ეს საერთო ნიშნები მკაფიოდ ასახავენ ამ ხალხთა შორის კულტურულ ისტორიულ ხანგრძლივ ურთიერთობას.

Ე. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲬᲘᲜ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოშვებული საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარია დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში მოკლე ხანში გაიყიდა ფულისა და ნივთების პირველი გამოშვების ლატარიის ყველა ბილეთი. ბილეთები ცალკეულ მოქალაქეთა თხოვნით იგზავნებოდა ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ამჟამად საქართველოს შემნახველმა სალაროებმა უკვე დაიწყეს გაყიდვა მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთებისა, რომლებიც აგრეთვე წარმატებით იყიდება.

ფულისა და ნივთების პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქ. თბილისში 15-16 აპრილს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში.

მოგებათა ტირაჟის ჩასატარებლად შექმნილია კომისია 40 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შეივიდნენ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები.

ტირაჟში გათამაშდება სულ 2,250.000 მანეთის 120.000 ნივთისა და ფულის მოგება. მოგებათა შორის არის ავტომანქანები „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“, საწოლი ოთახის გარნიტურები, მოტოციკლები, პიანინოები, რადიოლები, ტელევიზორები, მაცივრები, საკერავი და სარეცხი მანქანები და სხვა ძვირფასი ნივთები, აგრეთვე ფული 5.000 მანეთამდე.

ამჟამად უკვე ყველაფერი მზად არის მოგებათა ტირაჟისათვის. საქართველოს საავაჭრო ორგანიზაციებმა გამოუყვეს ყველა საჭირო საქონელი მოგებათა გასაცემად.

ტირაჟზე შესვლა თავისუფალ